www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 28 სექტემბერი, 2012 წელი. | №3123 (216) | ფასი 50 თეთრი

"კომპრომატებით ბრძოლა" სოციალური ქსელის გამოყენებით

გუშინ ინტერნეტსაიტი Youtube.com განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენებოდა "კომპრომატების ომისთვის". დილით საიტზე გამოქვეყნებულმა ფარულმა ჩანაწერებმა, რომლებშიც ცენტრალური ფიგურა ბადრი პატარკაციშვილი იყო, ლამის გაამყარა ქალაქში გავრცელებული ჭორი, რომ პატარკაციშვილი ცოცხალია.

სამიდან ერთ-ერთ ჩანაწერში საქმე მედიასაშუალებებს, კერძოდ, "რუსთავი 2"-სა და "იმედს" ეხება. ამ ჩანაწერში მიხეილ სააკაშვილი ამბობს:

"მე და ჟვანიას გვქონდა პრობლემები, ისეთი არა, სხვებს რომ ჰქონდათ, ზოგჯერ გვქონდა, ზოგჯერ არა, მაგრამ ახლა, როცა "გაიასნებულია" პირველი, მეორე... და თანამდებობები გადანაწილებულია, აბსოლუტურად ჩამოკიდებულები ვართ ერთმანეთზე. ეს რომ "ჩაფლავდეს", მე ვარ დაღუპული და პირიქით," - ამბობს მიხეილ სააკაშვილი შეხვედრაზე, რომელსაც ზურაბ ჟვანია, ეროსი კიწმარიშვილი, ვანო ჩხარტიშვილი და მასპინძელი ბადრი პატარკაციშვილი ესწრებოდნენ.

მეორე ვიდეომასალაში ბადრი პატარკაციშვილი, ვანო მერაბიშვილი და ვანო ჩხარტიშვილი ჩანან. გავრცელებული კადრების მიხედვით, შეხვედრის მონაწილეები ინტერესთა კონფლიქტსა და ურთიერთდაპირისპირებაზე საუბრობენ.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

ჯვართამაღლება თბილისში

მარი ახსიაშვილი

გუშინ, ახალგაზრდული გაერთიანება "დავითიანის" ორგანიზებით და სასულიერო პირების მონაწილეობით, რამდენიმეათასიანი მსვლელობა გაიმართა. ჯვართამაღლების დღესასწაულზე მრევლი და სამღვდელოება ოთხი ადგილიდან ერთდროულად გაემართა მეტეხის ხიდისკენ. ვაკიდან, საბურთალოდან და დიდუბიდან დაწყებული მსვლელობების მონაწილეები გმირთა მოედანზე გაერთიანდნენ, ხოლო ისნიდან, წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიიდან წამოსული მრევლი პირდაპირ მეტეხის ხიდზე მივიდა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

სირია გაერო-ს დღის წესრიგში

ბრიტანეთის პრემიერი დევიდ კამერონი

ხათუნა გაბიევი

სირია და ასადის სასტიკი რეჟიმი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ერთ-ერთი უმწვავესი საკითხია. გამომსვლელთა უმრავლესობამ მკაცრად დაგმო მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ მიმართული ძალადობა სირიის მმართველი რეჟიმის მიერ და მრავალი თვის მანძილზე გაჭიანურებული კონფლიქტი. ოფიციალური დამასკოს საკითხზე იმსჯელეს ასევე უშიშროების საბჭოზეც.

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

ნარიშკინი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას ბოიკოტს უცხადებს

სალომე ჯანიაშვილი

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სპიკერმა სერგეი ნარიშკინმა უარი განაცხადა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობის მიღებაზე. მან ეს გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ სესიაზე რუსეთთან მიმართებაში საკმაოდ მკაცრი რეზოლუციის მიიღება იგეგმება.

ნარიშკინს სტრასბურგში საპარლამენტო ასამბლეზე რუსეთის დელეგაციისთვის უნდა ეხელმძღვანელა.

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6606⇓
1 ევრო	2.0826⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.6294⇓
1 თურქული ლირა	0.9089⇓
100 რუსული რუბლი	5.1422⇓

თბილისი	28°C - 19°C
ქუთაისი	27°C - 18°C
თელავი	28°C - 14°C
ზუგდიდი	27°C - 18°C
ბათუმი	24°C - 19°C

ნავთობი	3.17	+0.04	+1.25%
გაზი	2.79	+0.04	+1.40%
ოქრო	1,689.30	+32.20	+1.91%
ხორბალი	890.50	-12.50	-1.40%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121

ახალი არმია

დავით უგრეხელიძე (მარცხნივ) და გიორგი ჯგერენაია ვარჯიშის დროს

ბოლოს: ბუსაურის ფოტოები

ზურაბ თალაკვაძე

"არმია" ამ სეზონშიც გაქაჩავს. არასაკალათბურთო, სხვა მოვლენების მიუხედავად, გაქაჩავს. შარშან, სუპერლიგაში გუნდი თან ერთობოდა, თან იგებდა და იშვიათად იძაბებოდა. ძირითადად, სამჯერ "ოლიმპთან" დაიძაბა და ის გასაუბრებაც გაიარა. ახალი "არმია" ცოტა სხვა გუნდია და უფრო ქართულად გააკეთებს საქმეს. მთავარი მწვრთნელი იგივეა. კოტე ტუღუში მოგებული სეზონის შემდეგ კიდევ ერთი ჯეკპოტისთვის ამზადებს თავის ხალხს და ლოკალურ გარჩევებში, ამ ჯეკპოტის მოხსნა რთული არ უნდა იყოს. ნუ, გააჩნია სხვა გუნდები ვის დაიმატებენ. სხვები ჯერ სხვები არიან და "არმიამ" ძალიან საინტერესო რუსტერი შეკრიბა. რუსტერი, რომელიც ევროჩელენჯისთვის უფრო გაიშლება.

გაგრძელება
მე-11 გვერდზე

19 წელი სოხუმის დაცემიდან

სოხუმის დაცემიდან 19 წელი გავიდა. ამ თარიღის გამო გმირთა მოედანზე, აფხაზეთის ომში დაღუპულთა მემორიალთან, პრემიერ-მინისტრი მივიდა და გარდაცვლილი მეომრების ოჯახის წევრებს შეხვდა. ვანო მერაბიშვილმა შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა და საქართველოში ბოლო პერიოდში შექმნილი ვითარება გაიხსენა. პრემიერი კიდევ ერთხელ შეეხო საჯელაღსრულების დაწესებულებაში განვითარებულ მოვლენებსა და მეზობელ ქვეყანასთან ურთიერთობას.

"დღესაც საქართველო დგას არჩევანის წინაშე და ეს არჩევანი არის ძალიან სერიოზული, იმიტომ, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არ არის კონსენსუსი პოლიტიკურ ელიტაში. არსებობენ პოლიტიკოსები, რომლებიც აპირებენ, საქართველოში დააბრუნონ კანონიერი ქურდები, აღადგინონ კრიმინალური დაჯგუფებები, უფრო მეტიც, საქართველოში არიან ადამიანები, რომლებსაც აქვთ ამბიცია, იყვნენ პოლიტიკოსები და ერთ სიტყვას არ ამბობენ პუტინზე, ოკუპანტებზე, და უნდათ, ასე მოტყუებით მოვიდნენ ხელისუფლებაში, მოატყუონ ხალხი, გათელონ ყველა ის მიღწევა, რაც ჩვენ გვაქვს და საქართველო აქციონ რუსეთის ღარიბ იმპერიად," - განაცხადა მერაბიშვილმა.

მემორიალთან იმყოფებოდნენ დევნილთა და განსახლების მინისტრი და აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეც.

აფხაზეთის დაცემის დღესთან დაკავშირებით გუშინ სპეციალური განცხადება გაავრცელა "ახალი მემარჯვენეების" ლიდერმა. “მოდით, ქართველებო, აფხაზეთში კი არ დავბრუნდეთ, არამედ აფხაზეთი და აფხაზები დავაბრუნოთ საქართველოში. მოდით, აფხაზებო, ერთიანი სახელმწიფოს აშენება მოვახერხოთ. ჩვენ ხომ განწირულნი ვართ ერთად ცხოვრებისთვის, ჩვენ ხომ ვიცით, რომ ვერც საქართველო იქნება უაფხაზეთოდ და ვერც აფხაზეთი - საქართველოს გარეშე. მინდა, მივმართო ყველას - მოდით, მოვიშუშოთ ეს ჭრილობები, მოვინანიოთ ცოდვები და მოვნახოთ ერთმანეთთან დასაბრუნებელი გზები. მოდით, ერთად ავაშენოთ ქვეყანა, სადაც თანაბრად დავიცავთ აფხაზებისა და ქართველების უფლებებს, ჩვენი თითოეული მოქალაქის სიცოცხლეს, მის პატივსა და ღირსებას, მის საკუთრებას," - განაცხადა დავით გამყრელიძემ.

1993 წლის 27 სექტემბერს საქართველოს ბრძოლა ტერიტორიული მთლიანობისთვის 13 თვისა და 13-დღის შემდეგ სოხუმის დაცემით დასრულდა. ომმა აფხაზეთში 15 ათასამდე ქართველი იმსხვერპლა, 300 ათასი ადამიანი დევნილად იქცა. სოხუმის დაცემის დღეს რუსმა ოკუპანტებმა და აფხაზეთის ოკუპანტური რეჟიმის წარმომადგენლებმა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ჟიული შარტავა 30-მდე ქართველთან ერთად დახვრიტეს. სოხუმის შემდეგ 29 სექტემბერს - უკვე ოჩამჩირე, ხოლო 30 სექტემბერს გალიც დაეცა და შედეგად, აფხაზეთი მთლიანად ოკუპანტების ხელში გადავიდა.

ივანიშვილი არჩევნების შემდგომ დაპირისპირებას არ გამორიცხავს

"ქართული ოცნების” ლიდერი არჩევნების შემდგომ დაპირისპირებას არ გამორიცხავს. ამის შესახებ ბიძინა ივანიშვილმა გუშინ მედიასშუალებების ხელმძღვანელებთან შეხვედრისას განაცხადა.

“არ მაქვს ილუზია, რომ სააკაშვილი ადვილად წავა. შეიძლება, დაპირისპირება იყოს, მაგრამ ეს იქნება ორგანიზებული. არაფერს გამოვრიცხავ, თუმცა ჩვენ არ მოვუწოდებთ ხალხს სამოქალაქო დაპირისპირებისკენ,” - აღნიშნა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, დღეს სულ სხვა სიტუაციაა, რადგან უახლესი ისტორიის განმავლობაში საქართველოს არ ჰყოლია ასე კარგად მომზადებული ოპოზიცია.

ამავე შეხვედრაზე ივანიშვილმა აღნიშნა, რომ თუ საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები - გაერო და ეუთო - არჩევნებს აღიარებენ, "ქართული ოცნებაც" იმავეს გააკეთებს.

"თუ მოხდება უხეში დარღვევები, ეს შეუმჩნეველი არ დარჩება. ისინი ვერ გააყალბებენ არჩევნებს ისე, რომ არ გამოჩნდეს. გაძლევთ გარანტიას, ამას არავინ გააფორმებს და არ მოხდება ის, რაც ადრე ხდებოდა," - აღნიშნა ივანიშვილმა.

"კომპრომატებით ბრძოლა" სოციალური ქსელის გამოყენებით

პირველი გვერდიდან

პატარკაციშვილი მიუთითებს, რომ თუ რამეზე დააჯარიმებენ, წინასწარ გააფრთხილონ და ის, რაზეც შეთანხმდებიან, მომავალში აღარ დაირღვეს. მესამე ვიდეომასალაში ბადრი პატარკაციშვილი უკვე გიგი უგულავას ესაუბრება ხელისუფლების მხრიდან შექმნილი პრობლემების შესახებ.

ამ კადრებზე ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან კომენტარი თავად თბილისი მერმა გიგი უგულავამ გააკეთა.

"დღეს სოციალურ ქსელებში გავრცელდა ბადრი პატარკაციშვილის სახლში განხორციელებული ფარული ჩანაწერი, სადაც ჩემი და ბადრი პატარკაციშვილის შეხვედრა არის ასახული. რამდენადაც მახსოვს, ეს იყო ჩვენი ბოლო შეხვედრა, სადაც მე, საქართველოს ხელისუფლების სახელით, გამოვთქვი შეშფოთება, რომ პატარკაციშვილი ხელისუფლებისგან განსაკუთრებული პრივილეგიების მიღებაზე უარის შემდგომ ცდილობდა, ყველა ფორმით და მის ხელთ არსებული საშუალებებით ებრძოლა ხელისუფლების წინააღმდეგ. მე გავაფრთხილე ის, რომ ეს რუსული თამაშის ნაწილი იყო. ამ შეხვედრის შემდეგ კონფლიქტი უკვე საჯაროდ მიმდინარეობდა. მე დღესაც მიმაჩნია და ვიბრძვი, რომ ოლიგარქებისთვის განსაკუთრებული პრივილეგიების მიცემა დაუშვებელია. დღეს საქართვლო იმავე გამოწვევის წინაშე დგას. რუსეთთან ორკესტრირებული ოლიგარქი კვლავ ცდილობს საქართველოს დაპატრონებას. დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი ხალხი ამ გამოწვევასაც ღირსეულად გადაიტანს და ოლიგარქებს არ მისცემს საშუალებას, საქართველო წარსულში დააბრუნონ," - ამბობს ქალაქის მერი.

მოგვიანებით, ინტერნეტსაიტზე ჯერ ბიძინა ივანიშვილის პირადი დაცვის წევრ ბესო სურმავას განცხადება გავრცელდა, შემდეგ კი, რთმანეთის მიყოლებით, ქართული ოცნების" წარმომადგენლების სკანდალური სატელეფონო საუბრები გამოქვეყნდა. ბესო სურმავას მტკიცებით, კოალიციის წევრების მოსმენა ბიძინა ივანიშვილის უსაფრთხოების სამსახურს თავად ივანიშვილმა დაავალა.

"მე ვარ ბიძინა ივანიშვილის პირადი მცველი. არ ვიცი რატომ, მაგრამ ბიძინასგან ჩვენს უსაფრთხოების სამსახურს ევალებოდა "ქართული ოცნების" წევრების საუბრების ფარული მოსმენა და ჩაწერა, რაზეც მე მიმიწვდებოდა ხელი. ამ ჩანაწერებს გადავცემ ტელევიზიებს, რათა საზოგადოებამ გაიგოს, რა სისულელეს წარმოადგნენ ესენი. თუმცა "ქართული ოცნების" მხარდამჭერებისთვის ძალიან ძნელი მოსასმენი იქნება ეს საუბარი, მაგრამ მე თავს ვალდებულად ვთვლი, რომ ვიყო ჩემი სამშობლოს წინაშე პირნათელი," - ამბობს ჩანაწერში ივანიშვილის პირადი დაცვის წევრი. სხვათა შორის, მოგვიანებით ბესო სურმავას მეუღლემ და ოჯახის წევრებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ სურმავა ორი დღეა, რაც გაუჩინარდა და, სავარაუდოდ, იგი დაკავებულია.

Youtube-ზე გავრცელდა ეკა ბესელიას, გია ხუხაშვილის, ირაკლი ალასანიასა, გუბაზ სანიკიძისა და ირაკლი ღარიბაშვილის სატელეფონო საუბრის აუდიოჩანაწერები.

8,38-წუთიან ფარულ ჩანაწერში ირაკლი ღარიბაშვილი ვინმე გიოს თინა ხიდაშელის შესახებ ესაუბრება და მთელი ამ ხნის განმავლობაში ხიდაშელის მიმართ გინება ისმის. ღარიბაშვილი ხიდაშელს უტვინო, უცოდინარ ადამიანად მოიხსენიებს და მისთვის საგარეო ურთიერთობების ჩაბარებას შეცდომად მიიჩნევს.

გია ხუხაშვილი საუბრობს რამაზ საყვარელიძისა და "რესპუბლიკური პარტიის" როლზე "ქართულ ოცნებაში". როგორც ამ საუბრებიდან ჩანს, "რესპუბლიკელებმა" თბილისში პრაიმერი ჩაატარებინეს თავის ორგანიზაციებს და მანიპულირების შედეგად ყველა ოლქში მათი კანდიდატი გავიდა. ამის გამო კოალიციაში პრეტენზიები გაუჩნდათ, რაც თავის დროზე თავად გია ხუხაშვილს დაურეგულირება.

"იდეოლოგიური დაპირისპირება? - კი, არის. ამათი იდეოლოგია საკითხავია. ახლა ჩაჩუმებულები არიან. ვერ ხვდებიან, რომ ჩემი და ამის გახლეჩვა შეუძლებელია... ასეთი მარაზმია შიგნით. ნაცვლად იმისა, რომ ერთად ვიყოთ შეკრულები და ერთ ამოცანას ვემსახურებოდეთ. გარეთ რა ხდება ერთია, მაგრამ შიგნით რა ხდება, ესაა ცუდი," - ეს ხუხაშვილის საუბრის ფრაგმენტია.

როგორც აუდიოჩანაწერიდან ირკვევა, ფოთის მაჟორიტარობის კანდიდატი ეკა ბესელია ზაქარია ქუცნაშვილით არის უკმაყოფილო.

"ისე ვირეშმაკობს, თითქოს ვერავინ ვერაფერს ხვდება, არადა ყველაფერს ხვდებიან, მით უმეტეს, ბიძინა," - საუბრობს ბესელია.

ასევე გავრცელდა გუბაზ სანიკიძის და ირაკლი ალასანიას სატელეფონო საუბრების ვიდეოჩანაწერები, სადაც ალასანია ამერიკა-ბრიუსელში მის გაგზავნასთან დააკავშირებით, საკმაოდ უხეში ფორმით მოიხსენიებს კოალიციის ლიდერს.

"რას შვრები ბიჭო, რას შვრები, წავიდე არ წავიდე ამერიკაში, წავიდე არ წავიდე ბრიუსელში, ვერ გავიგე, ეგ ვინ არის, ყ..ა რა," - ეუბნება ალასანია უცნობს, რომელიც ასევე წუწუნებს, რომ ასეთ დღეშია დილის 5 საათიდან ღამის 12 საათამდე.

გუბაზ სანიკიძის საუბარის ფრაგმენტი: **"კახას მე ვუთხარი და კარგად ელაპარაკა. მაგას რატომ უნდა დავუწვე, მაგის დედაც ... მაგას რაც უფრო წაუწვები, მით უფრო მო... დედას. თორნიკე ასათიანი არ გაუზრდია მაგას, ბერო გაზარდა.. შარტავა იძახის, ალბინოსები სისხლის შერევის შედეგად იბადებიანო. ზოოპარკში სულ ალბინოსები იბადებიან, რადგან და-ძმას შორის არის კავშირი,"** - ამბობს სანიკიძე აუდიო ჩანაწერში, რომელიც მოგვიანებით კომენტარში კატეგორიულად უარყო და ფალსიფიკაცია უწოდა.

გუშინვე თავისი დაცვის წევრი და "ქართული ოცნების" წარმომადგენლები თავად ბიძინა ივანიშვილმა დაიცვა.

"ჩემი დაცვის წევრი დააშინეს. ეს აუდიოჩანაწერები ხელისუფლების მორიგი ფაბრიკაციაა. რა თქმა უნდა, ის არაფერ შუაშია და მისთვის არავითრი ჩანაწერები არ დამივალებია. ის განცხადებები, რომელიც ვრცელდება, სასაცილოა. ამას ერთადერთი დატვირთვა აქვს - როგორმე გადაფარონ ის მკვლელობები და წამებები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მათ მმართველობაში," - ასე შეაფასა ბიძინა ივანიშვილმა გავრცელებული აუდიოჩანაწერები.

მაგრამ "კომპრომატებით ბრძოლა" გუშინ ამით არ დასრულებულა. Youtube-ზე უკვე ტიტრებდადებული ვიდეო აიტვირთა, სადაც «ქართული ოცნების" გარდაბნის მაჟორიტარობის კანდიდატი მამუკა არეშიძე საკუთრ აქტივისტს ამომრჩევლებთან სხვადასხვა გარიგებების შესახებ ესაუბრება. კანდიდატი ამომრჩევლებს, ძირითადად, სამსახურებს ჰპირდება. თუმცა, ამ ვიდეოს თავად მამუკა არეშიძე დამონტაჟებულ ფაბრიკაციას უწოდებს.

ჩემთან მოვიდა ეს კაცი, მითხრა, შვილი ავად მყავსო, დაიწყო ლაპარაკი, შემიძლია ეს გავაკეთო, ესა და ეს უბანი მოვიგოო და ჩვენ შორის საუბარი შედგა. ნახევრად ხუმრობით ველაპარაკებოდი, რაც შეეხება იმ ფულს, 120 თუ 130 ლარს, რომელიც გადავეცი, მითხრა, გზის და სიგარეტის ფული არ მაქვსო," - განუცხადა news.ge-ს მამუკა არეშიძემ.

მისივე თქმით, უცნობ ადამიანს შორის ნამდვილად მიმდინარეობდა საარჩევნო თემებზე საუბარი, თუმცა არა იმ ფორმით, რა ფორმითაც გავრცელდა.

“კომპრომატების ომი”, ალბათ, ამით არ დასრულდება...

საარჩევნო ადმინისტრაციების ქცევის კოდექსი

გუშინ ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებმა ეთიკის კოდექსს მოაწერეს ხელი. ქვეყნის მასშტაბით ყველა დონის საარჩევნო ადმინისტრაციაში დოკუმენტს ხელი ერთდროულად მოეწერა.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ შემუშავებული კოდექსი ქცევის რამდენიმე ძირითად ნორმას აერთიანებს. ესენია: კანონის პატივისცემა, სამართლიანობა, მიუკერძოებლობა, დამოუკიდებლობა, გამჭვირვალობა და პროფესიონალიზმი.

ქცევის კოდექსის თანახმად, საარჩევნო კომისიების წევრები ვალდებულნი არიან საარჩევნო კანონმდებლობის ზუსტი და თანმიმდევრული შესრულება უზრუნველყონ; ფუნქციების შესრულებისას იყვნენ დამოუკიდებლები და მიუკერძოებლები; საარჩევნო სუბიექტების, ამომრჩევლებისა და საარჩევნო პროცესში მონაწილე სხვა პირთათვის თანაბარი და სამართლიანი გარემოს შექმნა უზრუნველყონ. როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, საარჩევნო პერიოდში კომისიების წევრებმა თავი უნდა აარიდონ ადგილობრივი თუ სახელმწიფო ხელისუფლების თანამდებობის პირებთან პირადი ხასიათის შეხვედრებსა და ვიზიტებს.

ეთიკის კოდექსი არჩევნების დემოკრატიულად და გამჭვირვალედ ჩატარებისა და ამომრჩეველთა მხრიდან ნდობის ამაღლების მიზნით შემუშავდა.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ხელმოწერის ცერემონიალს "ლეიბორისტული პარტიისა" და "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" წარმომადგენლები არ ესწრებოდნენ. »კონსერვატიული პარტიის» წევრი ნინო გოგუაძე კოდექსს უერთდება და მიიჩნევს, რომ კომისიების წევრები დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ მაინც იგრძნობენ რაღაც მორალურ ვალდებულებას, რომ მასში აღნიშნული ნორმები დაიცვან.

ცესკო-ს სპიკერი ეკა აზარაშვილი ამბობს, რომ ქცევის კოდექსის თანახმად, საარჩევნო კომისიების წევრები ვალდებულნი არიან, პატივი სცენ კანონს და თავიანთი ფუნქციების შესრულებისას იყვნენ სამართლიანები, მიუკერძოებლები და დამოუკიდებლები. აზარაშვილის თქმით, მათ საარჩევნო პროცესების გამჭვირვალობა უნდა უზრუნველყონ და საქმიანობის ყველა ეტაპზე პროფესიონალიზმი გამოავლინონ.

საკუთარი ინფორმაცია

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ჯვართამაღლება თბილისში

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მსვლელობის პარალელურად, სასულიერო პირებმა თბილისი აკურთხეს დედაქალაქის კურთხევა ჯვართამაღლების დღესასწაულისა და "ქვეყანაში შექმნილი რთული სიტუაციის" გამო გაიმართა. მასში მონაწილეობის მიღება ყველა მსურველს შეეძლო.

16:00 საათის შემდეგ რუსთაველის გამზირის საავტომობილო გზის ორივე მიმართულება სასულიერო პირებით და მრევლით გაივსო და, შესაბამისად, მოძრაობა გადაიკეტა. მსვლელობის პარალელურად ისმოდა ქართული ხალხური საგალობლები. მონაწილეებს ეჭირათ დროშები, საეკლესიო ბაირაღები და ხატები. მსვლელობის მონაწილეებს წინ სასულიერო პირები მიუძღოდნენ, რომლებიც ირგვლივმყოფებს ნაკურთხ წყალს ასხურებდნენ. ორგანიზატორი ახალგაზრდები მრევლს მოუწოდებდნენ, "მამაოებისთვის არ გადაესწროთ". მომლოცველები მეტეხის ხიდამდე მივიდნენ შეძახილით - "საქართველო".

"ჯვართამაღლება ძალიან დიდი დღესასწაულია და ეს მსვლელობაც და თბილისის კურთხევაც ნამდვილად დიდი მადლია, რადგან მძიმე დრო უდგას საქართველოს და ქართველ ერს," - უთხრა "24 საათს" მრევლის წევრმა ნინო ფორჩხიძემ.

მსვლელობა მეტეხის ხიდთან 100 000 ქართველის წამების ადგილზე დასრულდა. ჯვრის ფორმით წამოსული ოთხივე ნაკადი სწორედ იქ გაერთიანდა. მომლოცველებმა მთლიანად დაიკავეს მიმდებარე ტერიტორია. ხიდის შუა ადგილზე საქართველოს პატრიარქისთვის ტახტი მოაწყვეს. ასევე, ხიდზე დააბრძანეს 100 000 მოწამე ქართველის ხატი.

მეტეხის ხიდზე ილია მეორემ პარაკლისი აღავლინა. საქართველოს პატრიარქი 100 000 ქართველის წამების ადგილზე ათ მღვდელმთავართან ერთად მივიდა. პარაკლისის დაწყებამდე პატრიარქმა მრევლს მცირე ქადაგებით მიმართა. ილია მეორემ ხალხს ჯვართამაღლების დღესასწაული მიულოცა და ბრძანა, რომ ღვთისმშობელი საქართველოს ყოველთვის იცავდა და დღესაც იცავს. მან კურთხევა მისცა მრევლს, ღვთისმშობლის ლოცვა - "მოწყალებისა კარი განგვიღე კურთხეულო ღვთისმშობელო" რამდენჯერმე ეთქვათ პარაკლისის დაწყებამდე და პარაკლისის ბოლოსაც. პატრიარქმა ღვთისმშობლის ლოცვა ხალხთან ერთად წაიკითხა და ათასობით ადამიანმა მეტეხის ხიდზე ილოცა. პარაკლისის დასრულების შემდეგ, ილია მეორემ მრევლი კიდევ ერთხელ დალოცა და შეკრებილებს სამების ტაძარში წასვლისაკენ მოუწოდა, სადაც აფხაზეთის ომის დროს დაღუპულთათვის პანაშვიდი გადაიხადა.

გადმოცემის თანახმად, 100 000 ქართველი მოწამე, ჯალალ ედ დინის ბრძანებით, მე-13 საუკუნეში მეტეხის ხიდზე აღესრულა. მათ მოსთხოვეს, ღვთისმშობლისა და უფლის ხატებისთვის ფეხი დაებიჯებინათ, ბრძანების შეუსრულებლობის გამო კი მათ თავები მოჰკვეთეს.

პრეზიდენტმა ქუთაისის აეროპორტი უნგრეთის პრემიერთან ერთად გახსნა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე შეკრებილ მხარდამჭერებს უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანთან ერთად მიმართა. სააკაშვილი სოციალური სამართლიანობის ყველაზე დიდ გამოხატულებად მიიჩნევს იმას, რომ არჩევნების შემდეგ პარლამენტი იქ ამუშავდება, სადაც ხალხი ყველაზე მეტად იყო დაჩაგრული.

სააკაშვილმა თბილისში დღეისთვის დანიშნული საარჩევნო შეხვედრაც ახსენა და დასძინა - სანამ თბილისში შეხვედრა გაიმართება, ყველამ უნდა გაიხსენოს, რომ საქართველოში ორი დედაქალაქია. მან ქუთაისელებს მთავარი დაპირებებიც მისცა: **"ქუთაისში კანონიერი ქურდები ვეღარასდროს დაბრუნდებიან და ამ ქალაქს ერთხელ და სამუდამოდ დატოვებს უმუშევრობა."**

მიხეილ სააკაშვილმა დიდი დრო დაუთმო "ქართული ოცნების" დახასიათებას.

"ჩვენ გვიპირისპირდება ძალა, რომელიც კლასიკური რუსული სქემებით მოქმედებს.

"რა არის რუსული სქემები?! ეს არის ის, რომ ფული არის ყველაფერი და ხალხი არაფერი. მთავარია კომპრომატები გაამზადო, ტელევიზიით "გამოაგდო" და მრავალწლიანი გამოცდილების ერს თავგზა აუბნინო. საქართველო სუპერმარკეტი არაა, რომელშიც შეხვალ და ხალხს, როგორც პროდუქტს, იყიდი. ჩვენი ხალხი პროდუქტი არ არის, ჩვენი ხალხი არ იყიდება. ჩვენი შვილების მომავალი არ იყიდება!" - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტის თქმით, საქართველოს არჩევანი არ არის წინსვლასა და შედარებით ნაკლებ წინსვლას ან ადგილზე გაჩერებას შორის, არამედ, მისი აზრით, არჩევანი ბევრად სახიფათოა. **"ჩვენ გვიპირისპირდება ძალა, რომელიც დაანგრევს ყველაფერს, რასაც 9 წლის განმავლობაში რუდუნებით ვაშენებდით,"** - აღნიშნავს სააკაშვილი. ის იმედს გამოთქვამს, რომ ქართველი ერი სწორ არჩევანს გააკეთებს. მისი თქმით, საქართველო ევროპას ირჩევს. პრეზიდენტი ირწმუნება, რომ ბოლო წლებში საქართველოში ნამდვილი დემოკრატია აშენდა. **"ეს ნიშნავს იმას, რომ ხალხის ბედს წყვეტს არა ერთი და იგივე 200 კაცი და ერთი ქუჩა საქართველოს დედაქალაქში, არამედ ხალხი. საქართველოს ბედი დღეს არა მთავრობის, არამედ ქართველი ხალხის ხელშია და საქართველოს ბედს გადაწვეტენ ჩვენი კაცები და ქალები, რომლებსაც ათწლეულების განმავლობაში ამცირებდნენ, ის ხალხი, ვისაც "კანონიერი ქურდები" ატერორებდნენ, ვისაც ქუჩებში შვილების გაშვების ეშინოდათ, ის ხალხი, ვინც იცოდა, რომ უსამართლობა ცხოვრების წესი იყო,"** - ამბობს სააკაშვილი, - **ყველამ ვიცით, რომ სამოთხეში არ ვცხოვრობთ, მაგრამ ყველა ჩვენგანმა უნდა დაუსვას საკუთარ თავს კითხვა - გვინდა თუ არა დაბრუნება ჯოჯოხეთში."** სააკაშვილის აზრით, მას, ვინც ამ დღეებში ქვეყანას კომრომატებით კვებავს, თავისი ხალხი ეზიზღება. **"მათ მიაჩნიათ, რომ ხალხის მანიპულირება ძალიან მარტივია, მთავარია დაშოკო, ცხვირწინ რაღაც დაუკიდო, პატარა რაღაცას დაჰპირდე, დაჩაგრო და მერე წამოგყვება,"** - აღნიშნავს სააკაშვილი.

ქვეყნის პირველი პირის თქმით, საქართველოს პოლიტიკაში არევის მთავარ მსურველს სცენარის შეთხზვისას პროცესის მთავარი მონაწილე - ქართველი ხალხი გამორჩა. **"ხომ ეგონათ, რომ ყველაფერი გაჩარხეს, ხომ იკითხა მაგათმა ბატონ-პატრონმა, როდის არის საქართველოში არჩევნები, ხომ მისცა 2 მილიარდი, ხომ დაუმზადა კომპრომატები, ხომ გაუკეთა ყველაფერი 1-ელი ოქტომბრისთვის. ამაყი ვარ ჩვენი ხალხით. მათ მთავარი გამორჩათ,"** - აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

საქართველოს პრეზიდენტმა სოხუმის დაცემის დღეც გაიხსენა. **"სოხუმის დროებითი ოკუპაცია - ეს ჩვენი ერის უდიდესი მარცხი იყო, რადგან დაქსაქსულები ვიყავით. მარცხი იმიტომ, რომ ჩვენი დამპყრობლის აგენტები ხელს აფათურებდნენ ხელისუფლებაში; ჩვენი თავდაცვის მაშინდელი მინისტრი დამპყრობელ ქვეყანაში გაიქცა და მათგან ფული აიღო; საქართველოს კუთხეები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ,"** - აღნიშნავს პრეზიდენტი და დაპირებას იძლევა, - **მე გეუბნებით სოხუმის დროებითი ოკუპაციის დღეს, თუ საქართველომ პირველ ოქტომბერს რუბიკონს გადააბიჯა, აფხაზეთი აუცილებლად დაბუნდება, საქართველო აუცილებლად შეინარჩუნებს ერთიანობას. ჩვენ ვეღარასდროს დაგვქსაქსავენ, ვეღარ წაგვკიდებენ ერთმანეთზე, ვერასდროს წამოგვაგებენ პროვოკაციებზე."**

სტადიონზე, პრეზიდენტთან ერთად, საქართველოში ვიზიტით მყოფი უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი იმყოფებოდა, რომელიც "ევროპის სახალხო პარტიის" ვიცე-პრეზიდენტიცაა.

მან "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მომხრეებს პრეზიდენტის გამოსვლამდე მიმართა: **"მინდა, გითხრათ, რომ უნგრელი ხალხი აფასებს იმ მიღწევებს, რაც საქართველოს აქვს. უნგრელი ხალხი აფასებს იმ ძალისხმევას, რომელიც საქართველომ ასეთი პროგრესის მისაღწევად საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის შემდეგ გასწია. ამ შემთხვევაში პოლიტიკური ხელმძღვანელობის როლი მესმის. ძნელია, შეცვალო ქვეყანა. უნგრეთიც ხომ პოსტკომუნისტური ქვეყანაა. ჩემი ცხოვრების 20 წელი ჩემი ქვეყნის შეცვლას დავუთმე. შედეგების ადვილად მიღწევას არ უნდა ველოდოთ. ასეთ შემთხვევაში ადამიანმა შეიძლება, მხოლოდ ერთი შეცდომა დაუშვას, როგორც ჩვენ უნგრეთში დაგვემართა. რამდენიმე წლის წინათ გადავწყვიტეთ, რომ იქნებ უკან მივბრუნებულიყავით, დავბრუნებულიყავით წარუმატებელ წარსულში. მაგრამ, თუ თქვენი ხელმძღვანელობის, პრეზიდენტის გჯერათ, თუ პროგრესი გინდათ, წარმატებას მიაღწევთ.**

როგორც ვიქტორ ორბანმა თავის ემოციურ გამოსვლაში აღნიშნა, ცდუნება იმისა, რომ შეიძლება რაღაცები შემოტრიალდეს, გასაგებია, მაგრამ წარსულში დაბრუნება უდიდესი შეცდომა იქნება. მისი აზრით, ეს, რა თქმა უნდა, ქართველი ხალხის არჩევნებია, სადაც მათ თავიანთი ბედი უნდა გადაწყვიტონ. თუმცა, ორბანი ამომრჩევლებს რჩევას აძლევს. **თქვენ ნაცვლად გადაწყვეტილებას არავინ მიიღებს. მე უნგრელი მეგობარი ვარ და გეუბნებით: უკან ნუ მიბრუნდებით. მსოფლიოს მასშტაბით და ევროპაში ბევრი მომხრე გყავთ. მინდა, რომ საქართველომ ტრანსატლანტიკური ინტეგრაციის კურსს არ გადაუხვიოს. მინდა, დაგარწმუნოთ, რომ უნგრეთი თქვენთან არის. საქართველოს და ქართველ ხალხს გაუმარჯოს,** - დაასრულა გამოსვლა ვიქტორ ორბანმა.

მიხეილ სააკაშვილმა ვიქტორ ორბანი დაახასიათა და აღნიშნა, რომ ის ევროპის ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა პოლიტიკური ვარსკვლავია. **არ მახსოვს, ასეთი ტიპის შეხვედრებზე ამ დონის ლიდერი გამოსულიყო და ეთქვა, რომ საქართველოს არჩევანი ევროპული არჩევანია. მთელი მსოფლიო გვიყურებს, რომ უკან არ დავბრუნდეთ,** - ამბობს სააკაშვილი.

სტადიონზე მისვლამდე სააკაშვილი, უნგრეთის პრემიერთან ერთად, ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის გახსნაზე იმყოფებოდა. ოფიციალურ ცერემონიალზე სააკაშვილი სიტყვით გამოვიდა. როგორც სააკაშვილი ამბობს, აეროპორტების სიმრავლე და ახალი კომპანიების შემოყვანა საერთაშორისო და შიდა რეისების მაქსიმალურად ხელმისაწვდომობას უწყობს ხელს. სააკაშვილი აეროპორტის არა მხოლოდ ეკონომიკურ დატვირთვაზე ამახვილებს ყურადღებას. **ეს აეროპორტი საქართველოს ერთიანობის სიმბოლოა, იმ საქართველოსი, რომელსაც შეუძლია, მუდმივად აღდგეს ფერფლიდან. ახალ აეროპორტს კოპიტნარის ყოფილი სამხედრო აეროპორტის ადგილზე ვხსნით, რომელიც 2008 წელს ჩვენი მტრის, დამპყრობლის ავიაციამ მიწასთან გაასწორა და არსებული ინფრასტრუქტურა მთლიანად გაანადგურა,** - ამბობს სააკაშვილი. მისი თქმით, საქართველოს წაქცევა რამდენჯერაც არ უნდა სცადონ, ის გაუბედურებულ მდგომარეობაში არასდროს რჩება, თავს არ ხრის.

მიხეილ სააკაშვილის თქმით, აეროპორტი საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე დიდი მეფის დავით აღმაშენებლის სახელობისაა. **აეროპორტისთვის მისი სახელის მინიჭება გადაწყდა არა მარტო იმიტომ, რომ დავით აღმაშენებელმა ქართული სახელმწიფოებრიობის იდეა შექმნა იმ ფორმით, რომლითაც ჩვენ ვაგრძელებთ სვლას, არამედ იმიტომაც, რომ ამ ხელისუფლის სახელი უკავშირდება ქართველი ერის მთავარ მრწამსს - მუდმივად ვითარდებოდე, მუდმივად აშენებდე, რა პირობებშიც არ უნდა იყო, ერთი ხელით იბრძოდე, ხოლო მეორეთი აშენებდე. აი, ეს არის ჩვენი ერის ინსტიქტი. ჩვენ ავაშენებთ ჩვენს სამშობლოს და სწორედ ასეთ ქვეყანას გადავცემთ მომავალ თაობებს,"** - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

შეკრებილ ხალხს სიტყვით ვიქტორ ორბანმაც მიმართა და ყურადღება ორი ქვეყნის მეგობრულ ურთიერთობასა და სამომავლო თანამშრომლობაზე გაამახვილა. ორბანმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ უნგრეთი მხარს უჭერს საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციას და მზად არის ამ პროცესში დასახმარებლად. როგორც ვიქტორ ორბანი დასძენს, საქართველოს ლიდერებს სწორი ეკონომიკური კურსი აქვთ არჩეული და ეს ხალხის კეთილდღეობაზეც აისახება. მისი თქმით, საქართველოს შეუძლია, ნებისმიერ რთულ ვითარებაში უნგრეთის იმედი ჰქონდეს.

ახალი აეროპორტიდან პირველი საერთაშორისო რეისი გუშინვე, დაბალბიუჯეტიანმა ავიაკომპანიამ «ვიზ ეარმა», კიევის მიმართულებით შეასრულა. საქართველოს პრეზიდენტმა, სტუმრებთან ერთად, აეროპორტის ტერმინალიც დაათვალიერა და პირველი რეისის მგზავრებსაც გაესაუბრა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ქუთაისის აეროპორტში ამჟამად 200 ადამიანია დასაქმებული, რომლებმაც თეორიული და პრაქტიკული მომზადების კურსი საერთაშორისო სპეციალისტების დახმარებით გაიარეს და საერთაშორისო სერტიფიკატებიც მიიღეს.

ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის აეროპორტის მშენებლობა 2011 წლის ნოემბერში დაიწყო. აეროპორტის ტერმინალი ჰოლანდიურმა კომპანიამ «UN studio"-მ დააპროექტა. სამშენებლო სამუშაოებს ქართული და ევროპული კომპანიები ასრულებდნენ. ასაფრენი ზოლის, მიმოსვლის ბილიკისა და საჰაერო ხომალდის სადგომების მშენებლობას კი კომპანია «Black Sea Group" აწარმოებდა. აეროპორტის მშენებლობაზე 400 კაცი იყო დასაქმებული. აეროპორტს ფრანგული კომპანია «ვინჩი აეროპორტები" მართავს.

საკუთარი ინფორმაცია

ბიძინა ივანიშვილი შტეფან ფულეს ესაუბრა

კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა ევროკომისარ შტეფან ფულესთან სატელეფონო საუბარი გამართა. ამის შესახებ ივანიშვილმა გმირთა მეოდანზე მემორიალის ყვავილებით შემკობის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა. მისი თქმით, საუბარი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს შეეხო.

"ჩვენ ვისაუბრეთ, თუ რა ხდება ქვეყანაში. მან მოწოდება გააკეთა ქართული პოლიტიკური სპექტრის მიმართ, რომ ყველა ზომა მიიღონ და უზრუნველყონ არჩევნების მშვიდად ჩატარება და, ასევე, არჩევნების შემდგომი პერიოდის სიმშვიდეც უზრუნველყონ. მან ასევე განმიცხადა, რომ ბოლო პერიოდში აგორებული ამბების შემდეგ ხელისუფლებას ევროკავშირი ძალიან აკრიტიკებს," - განაცხადა ივანიშვილმა.

გიორგი თარგამაძე: "ინგა გრიგოლია ჩვენს გუნდში რჩება"

"ინგა გრიგოლიამ გლდანში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატურა მოხსნა, თუმცა რჩება ჩვენი პოლიტიკური გუნდის წევრად და უახლოეს დღეებში პირადად განაცხადებს ამის შესახებ," - ეს განცხადება "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერმა გიორგი თარგამაძემ მისივე თქმით, გრიგოლიას კანდიდატურის მოხსნა ოფიციალურად ჯერ არ არის გაფორმებული, რადგან ამას პროცედურები სჭირდება.

"ინგა გრიგოლია ქალაქგარეთ არის გასული. დღეს ის ხელმისაწვდომი გახდება სხვებისთვის. ინგა რჩება ჩვენი პოლიტიკური გუნდის წევრად, იზიარებს ყველა იმ პასუხისმგებლობას და ერთგულია ყველა იმ დაპირებისა, რომლებსაც "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა" მთელი საარჩევნო კამპანიის დროს, საქართველოს მასშტაბითა და მათ შორის, გლდანელი ამომრჩევლის წინაშე გავცემდით. ინგა გრიგოლია არის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე, ჩვენთან ერთად იბრძოლებს ყველა იმ მიზნის მისაღწევად, რომლებზეც ვსაუბრობდით არჩევნების დროს ამომრჩევლებთან," - აღნიშნა გიორგი თარგამაძემ.

"ლეიბორისტები" ვიდეომასალებს ჰაგის სასამართლოში გაგზავნიან

"ლეიბორისტული პარტია" პატიმართა წამების ამსახველი ვიდეომასალების ჰაგის სასამართლოში გაგზავნას გეგმავს. პარტიის ინფორმაციით, აღნიშნულ ჩანაწერებს ისინი პრეზიდენტ სააკაშვილის წინააღმდეგ ჰაგის სასამართლოში მათ მიერ შეტანილ სარჩელზე დამატებითი მტკიცებულებების სახით წარადგენენ.

"ჰაგის სასამართლოში კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებზე გავაგზავნით დამატებით მტკიცებულებებს ვიდეომასალების სახით, რომლებზეც აღბეჭდილია სააკაშვილის შექმნილ და ივანიშვილის დაფინანსებულ ციხის სისტემაში მომუშავე მოძალადეთა შემზარავი მოქმედებები. მასალების გაგზავნა გვიწევს დაგვიანებით, რადგან ოლიგარქმა მტკიცებულებები დამალა წინასაარჩევნოდ პოლიტიკური ქულების დასაწერად და ჩვენთვის აღნიშნული ვიდეომტკიცებულებები თვეების მანძილზე ხელმიუწვდომელი იყო," - აცხადებენ პარტიაში.

მათივე ინფორმაციით, ჰაგის სასამართლოში სააკაშვილის წინააღმდეგ მათი სარჩელის მტკიცებულებათა გამოკვლევა უკვე დაწყებულია.

"ლაგუნა ვერესთან" ახალი ესტაკადა გაიხსნა

"ლაგუნა ვერესთან" მდებარე ახალი ესტაკადა გაიხსნა. დედაქალაქის მერიის ინფორმაციით, ესტაკადის საშუალებით სატრანსპორტო ნაკადებს შესაძლებლობა აქვთ, გმირთა მოედნიდან მოძრაობა მარჯვენა სანაპიროზე დიღმის მიმართულებით გააგრძელონ. გმირთა მოედნის ესტაკადის სიგრძე 363 მეტრია.

"თბილისის მერიის ინიციატივით, ქალაქში მოძრაობის განტვირთვის მიზნით, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მთელ სიგრძეზე, ხუთ ადგილას, პანდუსები, ხიდები, გვირაბები და ესტაკადები აშენდა. პოექტის განხორციელებით, მარჯვენა სანაპიროზე არსებული ყველა პრობლემური სატრანსპორტო კვანძი გაიხსნა, აღნიშნულ პერიმეტრზე გაუქმდა შუქნიშნები და სატრანსპორტო საშუალებები შეუფერხებლად გადაადგილდება," - აცხადებენ მერიაში.

ამასთან, მათივე ცნობით, მარჯვენა სანაპიროზე უკვე დასრულდა ესტაკადების მშენებლობა: ბარათაშვილის ხიდთან, კოსტავას ქუჩაზე, ლაგუნა ვერესთან, რომელიც სანაპიროსა და გმირთა მოედანს ერთმანეთთან აკავშირებს, ასევე გალაქტიონის ხიდთან გვირაბისა და პანდუსების მშენებლობა.

ცესკო
გამჭვირვალობას
მოაქვს ნდობა
www.cesko.ge

ქდმ-ს წინასაარჩევნო პროგნოზი: "კამერების ჩხუბი" გარდაუვალია

არჩევნებამდე დარჩა ოთხი დღე. პარტიამ "გიორგი თარგამაძე - ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება" დასკვნითი შეხვედრა დედაქალაქში უკვე ჩაატარა და დარჩენილ დროში კიდევ ერთხელ აპირებს ამომრჩევლების რეგიონებში გამხნევებას. ქდმ აქცენტს, ძირითადად, დასავლეთ საქართველოზე აკეთებს. პარტიაში სჯერათ, რომ არჩევნებში, უარეს შემთხვევაში, ბარიერს გადალახავენ, უკეთეს შემთხვევაში კი, საპარლამენტო მანდატების 10 პროცენტს მოიპოვებენ - ეს პარტიის მეორე ნომრის ლევან ვეფხვაძის სურვილია, რომელიც საარჩევნო გარემოს შესახებ " 24 საათს" ესაუბრა.

- არჩევნებამდე ოთხი დღე დარჩა. როგორ აფასებთ "ქრისტიან-დემოკრატები" დღევანდელ საარჩევნო გარემოს?

- დღევანდელი საარჩევნო გარემო პოლარიზებული და ყველაზე ბინძურია, რაც აქამდე ყოფილა საქართველოში. ეს არის კომპრომატების მუდმივი ომი. ხელისუფლება თავად გახდა მსხვერპლი იმ ანგარიშსწორებისა, რომელიც თავის დროზე ოპონენტებთან საბრძოლველად მოიფიქრა. ამ ყველაფრის შედეგი კი ის არის, რომ ასეთ შემთხვევაში ყოველთვის იჭყლიტებიან შუაში მდგომი პოლიტიკური პარტიები. ბოლო პერიოდში ჩვენზე თავდასხმა ორივე მხრიდან ხორციელდება - იმას, რასაც ხელისუფლება წლების განმავლობაში აკეთებდა, ბოლო ერთი კვირაა, "ქართული ოცნება" იმეორებს - მივარდნები, შანტაჟი, მუქარა და ა.შ. მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ ეს ყველაფერი სერიოზულ ზიანს ვერ მოგვაყენებს.

- რამდენადაც მახსოვს, აქამდე თქვენგან არ გაკეთებულა სერიოზული განცხადებები, რომ "ნაციონალური მოძრაობის" მხრიდან ადგილი აქვს ზეწოლას ან მუქარას. მეტიც, საზოგადოებაში ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ მმართველი პარტია ქდმ-ს მიმართ განსაკუთრებული ლოიალობით გამოირჩევა.

- "ნაციონალური მოძრაობა" ნამდვილად არ არის ჩვენ მიმართ ლოიალური. უბრალოდ, ამ შემთხვევაში მათი მთავარი სამიზნე "ქართული ოცნებაა". "ქართულმა ოცნებამ" კი ფირების გამოქვეყნების შემდეგ მიიჩნია, რომ "ნაციონალური მოძრაობა" დამთავრებულია და გადაწყვიტა, შემდეგი სამიზნე "ქრისტიან-დემოკრატიული პარტია" გახდეს.

- ფაქტები თუ გაქვთ აღრიცხული და თუ მიმართეთ სამართალდამცველ ორგანოებს?

- ასეთი ფაქტები გამოვლინდა ჭიათურაში, თბილისში, ჩუღურეთის რაიონში. სამართლდამცველებს არ მივმართეთ, რადგან მიგვაჩნია, რომ ერთი პარტიის მხრიდან მეორეზე მსგავსი საქმეების შედგენა არასერიოზულია. თუმცა ვფიქრობ, "ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, ასეთი ფაქტები მრავლად იქნება, როგორც "ნაციონალური მოძრაობის" პერიოდში იყო.

ჩვენ რადიკალური განცხადებების გაკეთებისგან თავს ვიკავებთ, რადგან მიგვაჩნია, რომ ჩვენი ამომრჩეველი გაცილებით ფრთხილი და ზომიერია და თუ არ გაუჩნდება გარკვეული ნდობა, არჩევნებზე, უბრალოდ, არ მოვა. ამიტომ ყველა ის ფაქტი, რომლებიც გამოვავლინეთ, უწყებათშორის კომისიაში წარვადგინეთ და პრობლემებს ამ გზით ვაგვარებთ. სხვათა შორის, ამ კომისიაში ჩვენ გვაქვს კონკრეტული შედეგები და არა მარტო ჩვენ - ყველა პოლიტიკურ სუბიექტს. მაგრამ, სამწუხაროდ, "ქართული ოცნება", რატომღაც, არასდროს საუბრობს იმ პოზიტიურ შედეგებზე, რომლებსაც ამ კომისიაში მიაღწია.

- კონკრეტულად რომ ვისაუბროთ. რა დარღვევები გაქვთ დაფიქსირებული უწყებათაშორის კომისიაში?

- კომისიაში შევიტანეთ ორი ჩვენი მხარდამჭერის საქმე, რომლებიც სამსახურიდან გაათავისუფლეს. იყო შემთხვევა, როდესაც ერთი პიროვნება ჩვენს შეხვედრაზე გამოჩნდა და სამსახურიდან გაათავისუფლეს. რამდენიმე ადამიანი საარჩევნო სიიდან ამოაგდეს, რადგან ჩვენი მხარდამჭერები იყვნენ. ისანში, ჩვენი მოწინააღმდეგე პარტია თავის კლიპს ატრიალებდა სამოქალაქო რესურსების ოფისებში.

- რა არის თქვენი მოლოდინი ამ არჩევნებში?

- ამ არჩევნებში ჩენი მოლოდინი ძალიან ცალსახაა. მით უმეტეს, როცა "ნაციონალური მოძრაობის" რეიტინგი ძალიან მკვეთრად დაეცა. ბევრი ადამიანი ბიძინა ივანიშვილს არ აძლევს ხმას, მაგრამ ციხის კადრების გამოქვეყნების შემდეგ, შინაგანი განწყობიდან გამომდინარე, ისინი "ნაციონალებასაც" ვეღარ ენდობიან. ჩვენ დავარწმუნეთ ეს ხალხი, რომ ნებისმიერი პარტიისთვის ხმის მიცემა მათი ხმის დაკარგვას ნიშნავს, ამიტომ არჩევანი ჩვენს პარტიაზე უნდა შეაჩერონ.

- გამოდის, რომ "კომპრომატების ომი" თქვენს წისქვილზე ასხამს წყალს.

- ძალიან დიდი უზნეობა იქნება ასე თქმა, მაგრამ შედეგი შეიძლება ასე დადგეს.

- რამდენად ახდენს გავლენას საარჩევნო გარემოზე სტუდენტური გამოსვლები?

- არანაირ გავლენას არ ახდენს. ახალგაზრდები თავის მოქალაქეობრივ პოზიციას გამოხატავენ და მათი აქტიურობა აუცილებელია, ვიდრე ჩვენს ქვეყანაში მსგავსი ფაქტები არ აღმოიფხვრება.

- თავის დროზე ოპოზიციური პარტიები ერთიანდებოდით მმართველი პარტიის დამარცხების იდეით. დღეს, ფაქტია, ოპოზიცია გაყოფილია და მიზანიც განსხვავებულია.

- მიხეილ სააკაშვილი გუშინდელი დღეა. მაგრამ რა იქნება ხვალინდელი დღე? ეს უნდა იყოს დემოკრატიული ქვეყანა, მაგრამ დემოკრატია ერთმმართველობას გამორიცხავს. ბიძინა ივანიშვილმა გამოაცხადა, რომ -ით უნდა მოვიდეს. ჩვენ გვახსოვს ამდენივე პროცენტით მოსული სააკაშვილი, რომლის პრობლემაც იყო დაუბალანსებლობა. ახლაც ისეთივე მდგომარეობაა. თუ ივანიშვილი ამხელა უპირატესობით მოვა, ეს იმას ნიშნავს, რომ "ნაციონალური მოძრაობა" პოლიტიკური ავანსცენიდან გაქრება, თუ პირიქით მოხდება, მსგავსი პრობლემა ივანიშვილის კოალიციაში შემავალ პარტიებს დაუდგებათ. მოკლედ, დღეს ამ ძირითადი სუბიექტებისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა. ასეთ მდგომარეობაში ამ ქვეყანაში უნდა არსებობდეს ბალანსი, რომელიც გარკვეულ შემაკავებელ ფაქტორს შექმნის. ჩვენ, სამწუხაროდ, არჩევნებში 50 პროცენტის აღების პრეტენზია და ამბიცია არ გვაქვს, მაგრამ ვიცით, რომ ქვეყანაში ბალანსის არსებობისთვის პარლამენტში მხოლოდ 6-კაციანი ფრაქციით არ უნდა შევიდეთ.

- რასაც თქვენ ბალანს ეძახით, ხშირად საზოგადოებაში ქდმ-ს მხრიდან ხელისუფლებისადმი ლოიალური დამოკიდებულებით აიხსნება. სწორედ ასე შეფასდა გუშინდელი ფაქტიც - ცესკო-ს მიერ საარჩევნო უბნებში ფოტო-ვიდეოგადაღების შესახებ დადგენილებისთვის მხარდაჭერა.

- როდესაც გუშინდელ ფაქტზე საუბრობენ, უმეტესად არ იციან ცვლილების შინაარსი. ჯერ ერთი, ცესკო-ს და ხელისუფლებას უნდოდათ, უბნებში კამერების შესვლა საერთოდ აეკრძალათ. მეორეც, არსებობს მოქმედი ნორმა, რომელიც ცესკო-ს თავმჯდომარეს საარჩევნო უბნიდან ჟურნალისტის გაძევების უფლებას აძლევს. ჩვენი ძალისხმევით, კამერებს შეუძლიათ, საარჩევნო უბანში შევიდნენ, 10 წუთის განმავლობაში გადაიღონ რაც უნდათ, ხოლო შემდეგ, 24 საათის განმავლობაში, ერთი კონკრეტული ადგილიდან ადევნონ თვალი საარჩევნო პროცესს. ის, რომ კამერა ერთ ადგილას უნდა იყოს და ამომრჩევლებს არ უნდა დასდევდეს, ბუნებრივია. გადაღებით არ უნდა შეილახოს მთავარი - თავისუფალი ნების გამოხატვა.

- კამერა თუ გამოვა დადგენილი ადგილიდან, თუნდაც დარღვევის გადასაღებად, მას უკან დაბრუნების უფლება აღარ ექნება. ეს არის ერთ-ერთი აკრძალვა, რომელსაც თქვენ, ყოფილმა ჟურნალისტებმა დაუჭირეთ მხარი.

- ჯერ ერთი ყველა უბანში იდგმება სადამკვირვებლო კამერა. თქვენ საერთოდ არ ხართ ინფორმირებულები. იცით, რომ 3 500-3 500 ათასი კამერა აქვს ნაყიდი როგორც "ნაციონალურ მოძრაობას", ასევე "ქართულ ოცნებას" და ეს პარტიები ცდილობენ, საარჩევნო პროცესში ერთმანეთს კამერებით შეუშალონ ხელი. მთავარი პრობლემა ეს არის. ჟურნალისტებს არანაირი პრობლემა არ ექნებათ. შევლენ და გადაიღებენ. დამერწმუნეთ, საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობა უზრუნველყოფილი იქნება.

- ინგა გრიგოლიამ გლდანის მაჟორიტარობიდან თავისი კანდიდატურა მოხსნა. რღვევა ხომ არ შეიმჩნევა თქვენს პარტიაში?

- ინგა რჩება პარტიაში. მან ვერ გაუძლო იმ ფსიქოლოგიურ წნეხს, რასაც "ქართული ოცნების" ზოგიერთი ბლოგერი ახდენდა მის მიმართ "ფეისბუკის" მეშვეობით. ეს იმათ სინდისზე იყოს, ვინც ინგა გრიგოლიას დედის გინებას უთვლიდა. ისინი იმ მეთოდებს იყენებენ, რომლებსაც სააკაშვილი იყენებდა წლების განმავლობაში და ის ადამიანები, ჩემი აზრით, უფრო საშიშები იქნებიან, ვიდრე ამას დღეს ვხედავთ ბაჩო ახალიაში, დათა ახალაიაში და იმ ადამიანებში, რომლებმაც პატიმრები აწამეს.

- ორივე ძლიერი სუბიექტი არჩევნების შემდეგ არეულობაზე საუბრობს. როგორ წარმოგიდგენიათ ამ დროს თქვენი ადგილი?

- ჩვენი მიზანია სიმშვიდის შენარჩუნება. სხვათა შორის, თუ ადრე არჩევნების ჩაშლა ყუთებში ბიულეტენების ჩაყრით ხდებოდა, ახლა ახალი მეთოდი გამოიგონეს - უბნებში შევარდნა კამერებით, რომლებიც, როგორ ჩანს, არა ჟურნალისტებს, არამედ გაურკვეველი წარმომავლობის ჯგუფებს ეკავებათ. ამიტომ, არჩევნების დღეს მთავარი საფრთხე სწორედ ხმაურია. თავიდან ხელისუფლებას "კამერების ჩხუბი" ეზარებოდა და ამიტომ კამერების აკრძალვა გადაწყვიტა, რაც ჩვენი ძალისხმევით არ მოხდა. თუმცა, ვფიქრობ, "კამერების ჩხუბი" მაინც გარდაუვალია.

"ქართულმა ოცნებამ" სახალხო დამცველის აპარატს მიმართა

კოალიციამ "ქართულმა ოცნებამ" ბოლო დღეების დაკავებების გამო სახალხო დამცველის აპარატს მიმართა. სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, 26 სექტემბერს კოალიციამ "ქართულმა ოცნებამ" სახალხო დამცველის აპარატს მიაწოდა ცნობები 21 სექტემბრიდან დღემდე ადმინისტრაციული წესით დაკავებული რამდენიმე ათეული პირის შესახებ.

"ბოლო დღეების განმავლობაში სახალხო დამცველის რწმუნებულებმა შსს დროებითი მოთავსების იზოლატორშები მოინახულეს 13 პირი, რომელთაც ადმინისტრაციული პატიმრობა აქვთ შეფარდებული. თითოეული მათგანი (დაჩი ცაგურიას გარდა), სახალხო დამცველის რწმუნებულებთან საუბრისას აცხადებს, რომ მათ მიმართ ფიზიკურ ან სიტყვიერ შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია. სახალხო დამცველის აპარატი სწავლობს აღნიშნულ პირთა ადმინისტრაციული დაკავების ფაქტებს. მომავალშიც ყველა მსგავს ფაქტს და მათ დეტალურ შესწავლას სახალხო დამცველის აპარატის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა," - აღნიშნულია სახალხო დამცველის აპარატის განცხადებაში.

ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი მოუწოდებს მხარეებს, წინასაარჩევნო პერიოდში გამოიჩინონ განსაკუთრებული თავშეკავება, რათა აღნიშნულმა მოვლენებმა სახელმწიფოში არსებული სიტუაციის დაძაბვა არ გამოიწვიოს.

ბაჩუკი ქარდავა: "დამოუკიდებლობა რუსეთის ბაზარზე არ იცვლება"

სოხუმის დაცემის დღეს "ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" ლიდერები ბაჩუკი ქარდავა და გურამ ჩახვაძე, ლანჩხუთის რაიონში აფხაზეთში ედპ-ს გმირულად დაღუპული წევრის, ვახტანგ გორგასლის 1 ხარისხის ორდენის კავალრის დათო რამიშვილის ოჯახში იმყოფებოდნენ. მათ პატივი მიაგეს დაღუპულ მებრძოლს.

ბაჩუკი ქარდავას განცხადებით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და დამოუკიდებლობა ბაზარზე არ იცვლება, რუსეთის ოკუპაციას შეეწირა უამრავი ქართველი და საქართველოს ტერიტორიები დღესაც ოკუპირებულია. მისივე განცხადებით, ქართველ ხალხს უნდა ახსოვდეს დათო რამიშვილის მსგავსი გმირები, რომელიც აფხაზეთში, სოხუმის დაცემის შემდეგ დახვრიტეს, რადგან მან არ დაიჩოქა და ბოლომდე დაიცვა საკუთარი ქვეყნის ღირსება.

"მე მინდა ამ დღეს, სოხუმის დაცემის დღეს, განვაცხადო და მივმართო ქართულ საზოგადოებას, რომ ედპ-სთვის მიუღებელია ის ძალადობა, რისი ფაქტებიც ჩვენ ვიხილეთ და რომლის პარტიული მიზნებისთვის გამოყენება დაუშვებელია. უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენ ვართ ოპონენტები და არა მტრები. მტერი გვყავს საერთო, რომელსაც დღესაც ოკუპირებული აქვს აფხაზეთი და სამაჩაბლო. მჯერა, რომ ქართული საზოგადოება 1-ელ ოქტომბერს მხარს დაუჭერს "ეროვნულ-დემოკრატიულ საქართველოს", რაც ნიშნავს - არა რუსეთს, ტერიტორიულ მთლიანობას და სამართლიან ხელისუფლებას", - განაცხადა ბაჩუკი ქარდავამ.

გიორგი თარგამაძე ქობულეთისა და ხელვაჩაურის მოსახლეობას შეხვდა

"ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერმა გიორგი თარგამაძემ შემაჯამებელი შეხვედრები გუშინ აჭარის მოსახლეობასთან გამართა და ქობულეთისა და ხელვაჩაურის მოსახლეობას წინასაარჩევნო პროგრამა გააცნო.

როგორც გიორგი თარგამაძემ აღნიშნა, ლაზიკის მშენებლობისთვის გამოყოფილი ერთი მილიარდის ჭაობში დაბანდების ნაცვლად, ბევრი პრობლემის მოგვარება შეიძლებოდა, მათ შორის, ტურისტული სეზონის ჩავარდნის გამო საბანკო დავალიანების მქონე ქობულეთელების დახმარება.

"აჭარაში ორი არჩევნები ტარდება ერთდროულად. ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ შემაჯამებელი შეხვედრები ჩაგვეტარებინა აჭარაში. ყველა რაიონში, კიდევ ერთხელ, ხალხს ავუხსენით, რამდენად მნიშვნელოვანია როგორც აჭარის უმაღლეს საბჭოში, ასევე, საქართველოს პარლამენტში მათ წარმოადგენდნენ დეპუტატები, რომლებიც აჭარის მოსახლეობის ინტერესების დასაცავად ერთხელ მაინც ამოიღებდნენ ხმას. 4 წლის განმავლობაში აჭარისა და ქობულეთის პრობლემებზე მხოლოდ ჩვენ ვსაუბრობდით საქართველოს პარლამენტში, მიუხედავად იმისა, რომ მაჟორიტარული მანდატი არც ერთ ჩვენგანს არ ჰქონია," - აღნიშნა გიორგი თარგამაძემ.

ასანჯი ამერიკას დევნის შეწყვეტას სთხოვს

სკანდალური ვებგვერდის "ვიკლიკსის" დამაარსებელი ჯულიან ასანჯი ამერიკას სთხოვს, მისი ვებგვერდისა და მხარდამჭერების ნინააღმდეგ ყველანაირი ქმედება შეწყვიტოს. "დროა, ამერიკამ "ვიკილიკსისა და მასთან დაკავშირებული ხალხის დევნა შეწყვიტოს," - განაცხადა ლონდონში, ეკვადორის საელჩოში მყოფმა ასანჯმა, სადაც ამა წლის ივნისის შემდეგ იმყოფება. შეგახსენებთ, რომ ეკვადორმა ასანჯს თავშესაფარი აგვისტოში მისცა, თუმცა, როდესაც ასანჯი ბრიტანეთში საელჩოს დატოვებს, მას დაპატიმრება ემუქრება. მან განცხადება ვიდეომიმართვის საშუალებით გააკეთა.

უმძიმესი დღე სირიაში

ოპოზიციური ჯგუფების ცნობით, 26 სექტემბერს ქვეყნის მასშტაბით 343 ადამიანი დაიღუპა. 2011 წლის მარტიდან მოყოლებული ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. 330 ადამიანი დაიღუპა ქვეყანაში ამა წლის 25 აგვისტოს. ოპოზიციური ჯგუფები აცხადებენ, რომ ქვეყანაში არსებულ კონფლიქტს ამ დროისათვის, მთლიანობაში, 30 000 ადამიანი ემსხვერპლა. სირიაში ძალადობის ესკალაციის გამო ჰუმანიტარული დახმარების შეჩერება მოხდა. "ეს სამოქალაქო ომია, რაც დახმარების განაწილებას ძალიან რთულს ხდის," - განაცხადა ევროკავშირის კომისარმა დახმარების საკითხებში კრისტალინა გეორგიევამ. ევროკავშირის გათვლით, ამ დროისათვის ჰუმანიტარული დახმარება 2,5 მილიონ სირიელს სჭირდება.

მუჰამედის კარიკატურას ესპანური ჟურნალიც აქვეყნებს

გუშინ ესპანურმა სატირულმა ჟურნალმა "El Jueves»-მა წინასწარმეტყველ მუჰამედის კარიკატურა გამოქვეყნა. რედაქციის განცხადებით, მათ ეს გააკეთეს ფრანგი კოლეგებისადმი სოლიდარობის ნიშნად. გასულ კვირას ფრანგულმა გამოცემამ "Charlie Hebdo"-მ საკუთარ გამოცემაში წინასწარმეტყველ მუჰამედის კარიკატურა კიდევ ერთხელ დაბეჭდა. 2011 წლის ნოემბერში ჟურნალის მიერ მუჰამედის კარიკატურის გამოქვეყნებას რედაქციის ოფისზე თავდასხმა მოჰყვა. ორი დღის წინ, ფრანგული გამოცემის პასუხად, კარიკატურები გამოქვეყნდა ეგვიპტურ "ალ ვატანში», რის შესახებაც "24 საათი» გუშინ წერდა.

გაერო: პერუში კოკას წარმოება იზრდება

გაერო-ს სამმართველომ, რომელიც ნარკოტიკების გავრცელებისა და დამნაშავეობის საკითხებს კურირებს, გამოაქვეყნა მორიგი მოხსენება, რომელშიც წერია, რომ პერუში, უკვე ზედიზედ მეექვსე წელია, იზრდება იმ მიწების ფართობი, რომლებზეც კოკას პლანტაციებია დათესილი. უფრო კონკრეტულად კი, 2010 წლის შემდეგ ეს ფართობი, სულ ცოტა, 2 პროცენტით გაიზარდა და დღეს 62,5 ათას ჰექტარს შეადგენს. ამ სამმართველოს წარმომადგენელმა ფლავიო მირელიამ განაცხადა, რომ კოკას მწარმოებლებს ეს "კულტურა» უკვე მოჰყავთ არა მარტო ტრადიციულ რეგიონებში - ანდებში, არამედ ახალ მიწებზეც - ბრაზილიისა და ბოლივიის საზღვრებთან. პერუს კოკაინი ყველაზე იაფია, ანდებში მისი წარმოების სიიაფის გამო. პერუში ნარკოტიკის წარმოების ზრდა, მართალია, უმნიშვნელოა, მაგრამ გაერო შეშფოთებულია იმით, რომ ამ საქმიანობამ ახალი რაიონებიც მოიცვა. თუმცა ფლავიო მირელიამ ისიც აღნიშნა, რომ ბოლო წლებში ნაწილობრივ შედეგი გამოიღო პერუს მთავრობის ძალისხმევამ. ისინი გლეხებს არწმუნებენ, რომ უმჯობესია, მოიყვანონ სხვა კულტურები, მაგალითად, ყავა.

ამ პრობლემის წინააღმდეგ უფრო ეფექტური ბრძოლისთვის საჭიროა რეგიონის სახელმწიფოებს შორის მეტი კოორდიანაცია, აგრეთვე კოკაინზე მოთხოვნის კლება. ამ ნარკოტიკის მთავარ მწარმოებლებად კვლავ რჩებიან პერუ, ბოლივია და კოლუმბია.

ბრიუსელში ნატო-ში რუსეთის ახალ წარმომადგენელს ელოდებიან

ბრიუსელში ნატო-ში რუსეთის ახალი მუდმივი წარმომადგენლის ალექსანდრე გრუშკოს ჩასვლას ელოდებიან. "ჩვენ მოუთმენლად ველით ნატო-ში რუსეთის ახალი მუდმივი წარმომადგნელის ჩამოსვლას და იმედი გვაქვს, რომ ეს უახლოესი კვირების განმავლობაში მოხდება," - განაცხადა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივნის მოადგილე ალექსანდრ ვერშბოუმ. ვერშბოუ დაესწრო მოსკოვში გამართულ საერთაშორისო კონფერენციას "რუსეთი-ნატო: 15 წელი პარტნიორობის გზაზე".

გრუშკოს კანდიდატურა 2012 წლის ივლისში ფედერაციის საბჭომ მოიწონა. ადრე ნატო-ში რუსეთის მუდმივი წარმომადგენელი დმიტრი როგოზინი იყო, რომელიც ახლა ქვეყნის ვიცე-პრემიერის თანამდებობაზე იმყოფება.

ჩეხეთმა ალკოჰოლის გაყიდვაზე აკრძალვა შეასუსტა

პრემიერ-მინისტრ პიოტრ ნეჩასის სიტყვებით, მთავრობამ გადაწყვიტა, 20 გრადუსზე მეტი სიმაგრის ალკოჰოლის რეალიზაციაზე აკრძალვა შეასუსტოს, რაც სუროგატული სპირტიანი სასმელებით 26 ადამიანის დაღუპვის შემდეგ შემოიღეს. ნეჩასის სიტყვებით, 2012 წლის 1 იანვრამდე წარმოებული ალკოჰოლური სასმელები უსაფრთხოდ მიიჩნევა და ხუთშაბათიდან გაყიდვაში ისევ გავა. ხალხის მასობრივი დაღუპვა, გამოძიების თანახმად, იაფი არყისა და რომის მოხმარებამ გამოიწვია. ისინი დამზადებული იყო კუსტრულად, ტექნიკური სპირტის - მეთანოლის გამოყენებით. ნებისმიერ ალკოჰოლურ ნაწარმს უნდა ჰქონდეს წარმოშობის სერტიფიკატი, ხოლო ბოლო პერიოდში წარმოებულ საქონელზე უნდა განთავდეს ახალი ნიმუშის აქციზური მარკა.

მოამზადა თამთა კახაძემ

ნარიშკინი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას ბოიკოტს უცხადებს

პირველი გვერდიდან

1 ოქტომბერს ის პარლამენტარიზმის საკითხებზე ვრცელი მოხსენებით უნდა გამოსულიყო. რუსეთის პარლამენტის ქვედა პალატის სპიკერი აცხადებს, რომ საეჭვოა, მისი პოლიტიკური წინადადება საპარლამენტო ასამბლეის ლიდერების მხრიდან გათვალისწინებული იყოს. ნარიშკინი აპირებდა, ევროპაში პარლამენტარიზმის განვითარების ძირითად პრობლემებზე ესაუბრა. "მე მივიჩნიე, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო სხდომაზე შესაბამისი პირობების არსებობის შემთხვევაში წარვდგები," - განმარტა საკუთარი გადაწყვეტილება დუმის სპიკერმა.

რუსეთის დელეგაცია სესიაზე მაინც გაემგზავრება, თუმცა მას დუმის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ალექსეი პუშკოვი უხელმძღვანელებს.

რუსეთის დუმის დეპუტატმა ვიაჩესლავ ნიკონოვმა მხარი დაუჭირა სპიკერის ამ გადაწყვეტილებას და მიიჩნევს, რომ ნარიშკინის ვიზიტი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე არამართებულია. "ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა უმნიშვნელო საპარლამენტო ორგანიზაციაა, რომლის არსებობაზეც, მე ასე მიმაჩნია, ევროპელების 99 პროცენტს წარმორმოდგენაც კი არ აქვს. პრინციპში, იქ დუმის სპიკერის წასვლას აზრი იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუ დაგეგმილი იქნებოდა რაიმე სახის გადაწყვეტილება ურთიერთობების განვითარებასთან დაკავშირებით. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციის თანახმად, მისი განწყობა რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებისკენ არ არის მიმართული," - განაცხადა რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატმა.

2 ოქტომბერს საპარლამენტო ასამბლეაზე ევროსაბჭოსთან მიმართებაში რუსეთის ვალდებულებების მონიტორინგის ანგარიშის მოსმენა იგეგმება.

შვეიცარიელი დეპუტატი ანდრეს გროსი, რომელსაც ადრე ჩეჩნეთის კონფლიქტის საკითხზე აქვს მოხსენება მომზადებული, და რუმინელი დეპუტატი გეორგი ფრუნდა აცხადებენ, რომ რუსეთი უნდა დარჩეს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის ქვეშ, რადგან ევროპას მათთან ჯერ კიდევ მრავალი პრეტენზია გააჩნია, რომლებიც საგარეო პოლიტიკასა და ადამიანის უფლებათა დაცვას ეხება.

კერძოდ, ისინი მიუთითებენ ჩრდილოეთ კავკასიაში ადამიანის უფლებების დარღვევებზე, დანაშაულებზე და სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან წამების ფაქტებზე. ასევე, ძალის გამოყენებაზე მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ და "Pussy Riot"-ს წევრების სასჯელის არაპროპორციულობაზე. 2012 წლის დასაწყისში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ გააკრიტიკა დუმის მიერ მიღებული ახალი კანონი, საჯარო ღონისძიებების დარღვევის შემთხვევაში ჯარიმის გაზრდასთან დაკავშირებით.

ზოგიერთმა რუსმა პარლამენტარმა რეზოლუციის პროექტი წაიკითხა და მას რუსეთისთვის შეურაცხმყოფელი უწოდა. დუმის დეპუტატის ვიაჩესლავ ნიკონოვის განცხადებით, ევროპის მხრიდან ბრალდებები უსაფუძვლოა. "იმ პრეტენზიების უმრავლესობა, რომელსაც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციის პროექტი შეიცავს, გამოგონილია. ზოგადი დამოკიდებულება რუსეთში ადამიანის უფლებების დაცვის სიტუაციას არ ასახავს. რა თქმა უნდა, ჩვენთან დემოკრატია სრულად არ არის განვითარებული, თუმცა ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით გაცილებით უკეთ გამოიყურება, ვიდრე ეს აღწერილია ამ დოკუმენტში".

რუსები "შიშობენ", რომ მათ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა ძალიან ბევრ დათმობაზე წასვლას მოსთხოვს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა საკითხებში, აქ იგულისხმება სარჩევნო კანონმდებლობის შეცვლაც და რიგი სასამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვაც, რაც, რუსი პარლამენტარების აზრით, წინასწარვე მიუღებელია. საგარეო პოლიტიკაში რუსეთისგან, სავარაუდოდ, მოითხოვენ საქართველოსთან ომის შედეგების "გადახედვას" ანუ ჯარების გაყვანას აფზახეთიდან და ცხინვალის ოლქიდან, ასევე რუსული ბაზის ნარჩენების გატანას დნესტრისპირეთიდან.

ასამბლეში, რომელიც 1949 წელს შეიქმნა, მონაწილეობენ ევროპის საბჭოს ყველა სახელმწიფოს დემოკრატიულად არჩეული პარლამენტის წარმომადგენლები. საპარლამენტო ასამბლეას შეუძლია, ჩაატაროს კვლევები და მისცეს რეკომენდაციები ევროპის საბჭოს. რუსეთი ამ ორგანიზაციის წევრი 1996 წელს გახდა.

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ნარიშკინმა სტრასბურგში ვიზიტზე უარი განაცხადა, დუმაში პრესკონფერენცია ჩატარდა, სადაც ალექსეი პუშკოვმა სინანული გამოხატა, რომ ბოლო კვირების განვმალობაში გაიზარდა განცდა, რომ ნარიშკინის გამოსვლა არ იქნება სწორად აღქმული. ამასთან ერთად, რუსოფობიური ორგანიზაციები, სავარაუდოდ, ცდილობენ საპარლამენტო ასამბლეაში ანტირუსული უმრავლესობის შექმნას და ისიც აღიარა, რომ ასეთი უმრავლესობა უკვე არსებობს. პუშკოვმა არ დასახელა, რომელ ქვეყნებს გულსხობდა, მაგრამ "ბი-ბისის" კორესპონდენტი მიიჩნევს, რომ ის ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და საქართველოს გულისხმობდა.

ჩვეულებრივ, ასამბლეა კონკრეტული ქვეყნების მსგავსს ანგარიშებს ორ წელიწადში ერთხელ განიხილავს, მაგრამ რუსეთის შემთხვევაში მსგავსი განხილვა არაერთხელ გადაიდო (მათ შორის, 2008 წელს საქართველოსთან ომისა და ამ საკითხის დიდი რეზონანსის გამო). ბოლო ასეთი შეხვედრა 2005 წელს გაიმართა.

სირია გაერო-ს დღის წესრიგში

პირველი გვერდიდან

გენერალური მდივნის ბან კი მუნის შეფასებით, თუ 18-თვიანი კრიზისი დროულად ვერ დასრულდება, რეგიონული კატასტროფის საფრთხე რეალური გახდება.

"სირიის კონფლიქტი უკვე საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას ემუქრება. ადამიანების ტრაგედია თვალსაჩინოა არამარტო ქუჩებში, არამედ ციხის ყრუ კედლებშიც. უდიდეს ფსიქოლოგიურ ტრავმას იღებენ ბავშვები. კიდევ ერთხელ შევახსენებ ყველა მხარეს, რომ კრიზისიდან გამოსავალი სამხედრო მოქმედება არ არის," - განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ბან კი მუნმა.

უშიშროების საბჭოზე სიტყვით გამოვიდა ასევე არაბულ სახელმწიფოთა ლიგის გენერალური მდივანი. **"სირიის კრიზისი ყოველდღიურად სულ უფრო ღრმავდება. ფაქტია, რომ სირიის ხელისუფლება გამოსავალს მხოლოდ საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებებში ხედავს, რაც არაბული ლიგის ინიციატივებს წყალში ყრის. უკვე სახეზეა სერიოზული და ტრაგიკული შედეგები,"** - აღნიშნა ნაბილ ელ-არაბიმ.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სირიის მიმართ დამოკიდებულების შეცვლა და პარალიზებული მდგომარეობიდან გამოსვლა ურჩია. **"საუბედუროდ, სირიაში ბაშარ ასადი ხელისუფლებას ებღაუჭება და მისმა მოქმედებამ ჰუმანიტარული კრიზისი გამოიწვია. დაჟინებით მოვითხოვთ ძალადობის შეწყვეტას და ხელისუფლების გადაცემას ასადის გარეშე,"** - აღნიშნა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა.

უშიშროების საბჭოზე ასევე სიტყვით გამოვიდნენ რუსეთის, ჩინეთის, საფრანგეთისა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრები. რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა სერგეი ლავროვმა ძალადობაში სირიის ხელისუფლებაც და ოპოზიციაც დაადანაშაულა და განსაკუთრებით ამ უკანასკნელის მიერ რეჟიმის კაპიტულაციის მცდელობას გაუსვა ხაზი. **"ასეთი მიდგომა ოპოზიციის მხრიდან არარეალისტურია და ტერორისტული მეთოდების წამახალისებელ როლს თამაშობს,"** - თქვა სერგეი ლავროვმა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კრიტიკით გამოვიდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, რომლის განცხადებითაც საერთაშორისო ორგანიზაციამ ვერ შეძლო სირიის კრიზისის დასრულება და ამიტომ ბავშვების დაღვრილი სისხლი მძიმე ლაქად დაემჩნევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეპუტაციას.

მანამდე კი, ვიდრე საერთაშორისო ორგანიზაციის მაღალი ტრიბუნიდან სირიის კრიზისის მშვიდობიან გამოსავალზე მსჯელობენ, ქვეყანაში არ წყდება აფეთქებები და ამბოხებულებზე თავდასხმები, რასაც მშვიდობიანი მოქალაქეები ეწირებიან. დამასკოში ორმაგი ტერაქტის პარალელურად, სროლის ხმა ისმის დეირ ალ-ზორში, ჰომსსა და ალეპოშიც. 18-თვიანი კრიზისის თავზე დაღუპულთა რაოდენობა, ოფიციალური მონაცემებით, 27 ათასს აჭარბებს.

იაფი ფანდები სცენაზე

მითები და რეალობა ტაბაკოვის თეატრის შესახებ

სცენები სპექტაკლიდან "ზოგჯერ ბრძენიც შეცდება"

სოფო კილასონია

"24 საათში" თბილისის თეატრალური ფესტივალის მიმოხილვითი სტატიები რამდენჯერმე უკვე დავბეჭდეთ. დღეს მცირე ტექსტს მხოლოდ ერთ თბილისურ კუდაბზიკობაზე მოგახსენებთ, რომელიც, როგორც ხვდებით, პირდაპირ კავშირშია 2012 წლის თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალთან.

ყველაზე ძვირადღირებული ბილეთები და, მიუხედავად ამისა, ყველაზე დიდი აჟიოტაჟ-ოვაციები 26 სექტემბრისთვის დაგეგმილ სპექტაკლს ეკუთვნოდა. შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში ოსტროვსკის პიესას "ზოგჯერ ბრძენიც შეცდება" ოლეგ ტაბაკოვის თეატრალური დასი თამაშობდა. თეატრი გაივსო, იდგნენ და ითმენდნენ 4-საათიან წარმოდგენას ახალგაზრდები და საგულდაგულოდ გამოპრანჭული, ჯერ ისევ ჩამოუყალიბებული გემოვნების, შეხედულებების, პრიორიტეტების მქონე ახალი ელიტა-ინტელიგენცია. მოკლედ, სანახაობა დარბაზშიც საინტერესო იყო. საზოგადოება, რომელიც თეატრში ავტორიტეტების გამო დადის... და ეს ავტორიტეტი ამჯერად ეკრანიდან და რუსული ტელეარხებიდან ცნობილი სერგეი ბეზრუკოვი აღმოჩნდა. ცხადია, დიდი გავლენა იქონია თეატრის სახელმაც. ოლეგ ტაბაკოვის თეატრის შესახებ საქართველოში ძალიან ცოცხალია მითები - უნიკალურობის შესახებ. საოცრად მითოსურია აღნიშნული თეატრის საპრეზენტაციო ტექსტიც საფესტივალო კრებულში:

"1978 წელს ჩაპლიგინის ქუჩაზე, ერთი პატივსაცემი სახლის სარდაფში, "არათეატრალურ" შენობაში, რომელსაც ოლეგ ტაბაკოვი ედგა სათავეში, მბჟუტავი ნათურა ანათებდა. ამ სარდაფის დაგეგმარებას სცენის მხატვარი დავიდ ბოროვსკი განაგებდა. დრამის სახელმწიფო სკოლიდან ოლეგ ტაბაკოვის სტუდენტებმა და კოლეგებმა კედლები შავად შეღებეს, სარდაფი სველი კედლებიდან ჩამოცვენილი გამურული ქვიშისა და ათასი ნარჩენისგან გაასუფთავეს, ცემენტის იატაკზე ფიცრები დააგეს და შავად შეღებეს. პატარა თეატრი "ახალგაზრდა მსახიობთა სტუდიად" გამოცხადდა, სადაც მხოლოდ იღბლიანებს შეეძლოთ, საათობით რიგში დგომის შემდეგ, თორმეტ რიგად გაწყობილ ხის სკამებზე ადგილის დაკავება.

ეს საცხოვრებელი სახლი თავის დროზე "ლეგენდარული" გახდა, რადგან იქ ცხოვრობდნენ: პოლარული მკვლევარი კრენკელი, მათემატიკოსი ჩაპლიგინი, საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის უფროსი ეჟოვი. ჩვენი დროის 12

პარადოქსი სწორედ ისაა, რომ დღეს ზედა სართულები კი არ აქცევს სახლს მნიშვნელოვნად, არამედ სარდაფი - ოლეგ ტაბაკოვის თეატრი-სტუდია. სტუდიას მხოლოდ 1986 წლის დეკემბერში, თითქმის ათი წლის შემდეგ მიენიჭა სახელი - "მოსკოვის თეატრი ოლეგ ტაბაკოვის ხელმძღვანელობით". ამ დროისათვის თეატრმა უკვე მოახერხა და გააქარწყლა მოსკოველი თეატრალების ცრურწმენა, რომ მსახიობი ვერ შეძლებს თეატრის მართვას. ოლეგ ტაბაკოვის თეატრი მოგზაურობს როგორც რუსეთში, ასევე საზღვარგარეთ. დასს წარმატებული გასტროლები ჰქონდა: იტალიაში, ამერიკაში, იაპონიაში, გერმანიაში, საფრანგეთში, უნგრეთში, კანადაში, ისრაელსა და ჩეხეთში."

ნამდვილად არ გამოვდგები 80-იანი წლების რუსული თეატრის ექსპერტად და, შესაბამისად, ვერც ტაბაკოვის თეატრის წარსულ მიღწევებს შევაფასებ. მაგრამ ის, რაც დასმა ორი დღის წინ რუსთაველის თეატრის სცენაზე გვიჩვენა, ნამდვილად არ პასუხობს იმ მითების მოთხოვნებს, რომელიც საქართველოში ტაბაკოვის სახელთან არის დაკავშირებული. "ზოგჯერ ბრძენიც შეცდება" მარტივი ბულვარული კომედია აღმოჩნდა, რაშიც ვგულისხმობ უმარტივეს ზედაპირულ კომედიულ მანევრებს და რაშიც იოლად ჩაითრევს მხოლოდ იმ მაყურებელს, რომელსაც არ აქვს პრეტენზია, თეატრალურ სივრცეში დაინახოს მეტი, ვიდრე ხედავს სატელევიზიო კომედიშოუებში. ყველაფერს კი ის ემატებოდა, რომ მსახიობები ცუდად მეტყველებდნენ. არა მხოლოდ ვერ გვაწვდენდნენ ხმას, არამედ ყლაპავდნენ სიტყვის ბოლო მარცვლებს.

რაც შეეხება დადგმას. ძალიან კარგად ჩანს, რომ რეჟისურა მხოლოდ სამსახიობო შესრულებაზე კიდია და სხვა ყველაფერი უბრალოდ მონაწილეთა ინტერპრეტაციებს წარმოადგენს. წარმოდგენა სულაც არ საჭიროებს დიდ სცენასა და სივრცეს, თუმცა გასაგებია, რამ განაპირობა რუსთაველის თეატრის არჩევა. არც ერთ სხვა საფესტივალო წარმოდგენისადმი მაყურებლის ინტერესს ასეთი მასშტაბისთვის არ მიუღწევია. მაყურებლის ერთ ნაწილზე იმოქმედა გვარმა - ტაბაკოვი, მეორეზე - ბეზრუკოვმა. ეს მეორე ნაწილი ბოლომდე აღფრთოვანებული დარჩა მათთვის მომხიბლავი მამაკაცის მცირე ცუნდრუკის გამოც კი და მაშინაც, როცა მსახიობმა ჰალსტუხის ჭამის სცენა გაითამაშა, ანუ მაშინ, როცა ცოტა არ იყოს, იაფფასიანი რუსული ცინიზმით გადასწვდა მასპინძელი ქვეყნის პრეზიდენტს. თუმცა ეს ის ფიქრობს, რომ მხოლოდ პრეზიდენტს. თუ ეს მაყურებელი კარგად დაფიქრდება, რუსი მსახიობი შეეხო მასპინძელი ქვეყნის ძალიან მტკივნეულ თემას, პერიოდს, წამებს.

თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში არსებობს წარმოდგენები და მითები, რისი განჯადოებაც ვერ შევძელით. ადეკვატურობა იმ დროსა და სივრცესთან, რომელიც სუფევს საბჭოთა თუ პოსტსაბჭოთა საქართველოს საზღვრებს გარეთ, ჯერ ისევ უცხოა საზოგადოების დიდი უმრავლესობისთვის. ის ჯერ უსაფუძვლო ხიბლებს დასდევს. სწორედ ამიტომ მაყურებელთა დარბაზი დაიცალა პოლონელი რეჟისორის - მაია კლიჩევსკას "ღმერთების დაცემაზე" - სადაც მწვავედ დადგა ძალაუფლებისა და სტატუსისთვის დეგრადირებული საზოგადოების პრობლემა და ბოლომდე დარჩნენ და ოვაციები არ დაიშურეს სერგეი ბეზრუკოვისთვის. ერთი, არაფრით გამორჩეული ნიჭის მქონე თავნება ახალგაზრდა კაცისთვის, რომელიც, არ ვიცი, სხვა დროს როგორ, მაგრამ ორი დღის წინ სცენაზე გვიჩვენებდა პროფესიულ ზედაპირულობას და წარსული თეატრალური ტრადიციების ფალსიფიკაციას. ერთი სიტყვით, არც არაფერს ისეთს, რისი ყურება და შემდეგ განსჯაც ღირდა. მაგრამ რაკი მაინც გავუძელი და ვუყურე, გადავწყვიტე, სევდაც გამეზიარებინა. სევდა, რომელსაც იწვევს ჩვენივე თავი - მაყურებელი და არავინ სხვა...

ფრანგი ფოტოგრაფის სხვადასხვა ნოველა

ᲑᲔᲚᲐ ᲩᲔᲙᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ფრანგმა ფოტოგრაფმა ჟან-მარკ მილიემ "გალა" გალერეაში ფოტონამუშევრების გამოფენა "სხვადასხვა ნოველის" სახელწოდებით წარმოადგინა. ექსპოზიცია ნაკრებია სხვადასხვა ციკლისა, რომელიც შესულია შვეიცარიაში გამოცემულ ალბომებში - "სილამაზის მარცვალი", რომელიც 2001-2004 წლებში ორ ტომად გამოვიდა და "ახალი პრინცესები", რომელიც საზოგადოებამ ალბომად 2008 წელს იხილა.

ექსპოზიციაზე ერთმანეთს ენაცვლება ნიუ და პარიზის ქუჩები ანდა პარიზზე მინიშნებები - ქუჩის ფარნებითა და აბრებით იქნება ეს წარმოდგენილი თუ ნოტრდამისა და ეიფელის კონტურებით, რაც იმის განწყობას გვიქმნის, რომ ეს მოდელები პარიზში ცხოვრობენ, მით უფრო, რომ ფოტოგრაფს ისინი საკუთარ საცხოვრებელ სახლებში ჰყავს გადაღებული. სიშიშვლე ამ ქალაქის ნაწილია, თუმცა კი რამდენად საინტერესოა ეს ნაწილი, ამის გადაწყვეტა დამთვალიერებლისთვის მიგვინდია. მე, როგორც რიგითი წევრი ამ საზოგადოებისა, ვისთვისაც ეს გამოფენა მოეწყო, მოკრძალებით აღვნიშნავ, რომ ამგვარი ნიუ აღარაფერს იძლევა, მით უფრო, როცა კონტექსტი გაურკვეველია.

"ჩავთვალე, რომ ეს ფოტოები საინტერესო იქნებოდა ქართველი დამთვალიერებლისათვის. ეს ფოტოგრაფია წარმოადგენს ერთგვარ ნაკრებს იმისა, როგორ ცხოვრობენ ჩვეულებრივი ადამიანები. ისინი პროფესიონალი მოდელები არ არიან," - ამბობს ჟან-მარკ მილიე, თუმცა კი აქ არც სოციალური კონტექსტი იკითხება და არც - ესთეტიკური აღმაფრენა. ვერ გეტყვით, ეს რამდენად საუკეთესო ნაწილია ჟან-მარკ მილიეს ალბომების, რომლის ბიოგრაფიაში უამრავი საინტერესო პროექტი და ნამუშევარია. იგი 1988 წელს ჟურნალ "ვოგის" ფოტოგრაფად მუშაობდა, 1993 წლიდან კი დამოუკიდებელი ფოტოგრაფია და ასახავს სხვადასხვა ასპექტს ევროპის დიდი ქალაქებისა, როგორიცაა პარიზი, ლონდონი, გლასგო, კოპენჰაგენი და სხვ. 1994 - 2000 წლებში ის მუშაობდა სკანდინავიის ქვეყნებში შვეიცარული და დანიური პრესისთვის. ამ პერიოდის განმავლობაში იღებდა არაპროფესიონალი მოდელების ფოტოებს. ამ ნამუშევრებიდან გამოიცა შვეიცარიაში 3 ალბომი: "სილამაზის მარცვალი ორ ტომად" და "ახალი პრინცები". ასევე ორი პორტფოლიო ფრანგ გამომცემელთან: "სილამაზის მარცვალი" და "ფეხების თამაში" 2005 წელს. ბელგიის გალერეა NKA-სთან თანამშრომლობით კი 2007 ჟან-მარკ მილიემ შექმნა ფოტოსერია "გამხადე". იგი დღემდე მუშაობს ამ მიმართულებით. ფოტოგრაფისათვის საინტერესოა ძველი ფოტოგრაფიის ტექნიკა, რითიც მან შექმნა ფოტოსერია პარიზისა და სხვა ქალაქების თემაზე. 2000-2002 წლებში ეს სერია დაჯილდოვდა დაგეროსტოპის სალონის ორი პრიზით, რომელსაც ფრანგული ფოტოგრაფიის ფედერაცია უწევს პატრონაჟს. ჟან მარკ-მილიეს შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პერფორმანსებს. 1997 წლიდან სხვადასხვა გამომცემლებისა და ფესტივალებისთვის ის ქმნის ჯაზურ კომპოზიციებს. იღებს მსოფლიო კლასის ისეთი ჯაზმენების ფოტოებს, როგორებიცაა: Pat Metheny, Toots Thielemans, Chick Corea, Chris Jennings, Marc Johnson. მისი ფოტოგრაფია ასახავს მთლიანობას ინსტრუმენტსა და მუსიკოსს შორის. ფოტოგრაფის შემოქმედებაში მნიშვნელოვანია ასევე ცირკი და თეატრი. იგი 2004-2010 წლებში ფრანგული ფილმის ფესტივალზე ორი ექსპოზიციით იყო წარმოდგენილი: გლასგოს ფილმ-თეატრში და ექსპოზიციით "მშვენიერი გლასგო", რომელმაც დასაბამი მისცა ამავე სახელწოდების მის ახალ ფოტოგრაფიულ წიგნს, რომელიც 2011 წელს გამოვიდა. სულ ახლახან ფრანგულმა გამომცემლობამ გამოსცა წიგნი საუკეთესო "ნიუს" ფოტოგრაფებისა, ჟან მარკ მილიე შესულია ისეთ ცნობილ ფოტოგრაფებთან ერთად, როგორებიცაა: Man Ray, Cindy Sherman, Hement Newton, Sieff, La Chapelle etc.

საქართველოში ჟან-მარკ მილიე მხატვარ-გრაფიკოსის თეა ლობჟანიძის დახმარებით აღმოჩნდა და აღმოაჩინა, რომ საქართველო ფოტოგრაფისთვის საინტერესო ქვეყანაა ტიპაჟების განსაკუთრებული გალერეით. გადაიღო კახეთის ისტორიული ძეგლები. ახალ პროექტს იგი დიუმას ფრანგულ ინსტიტუტთან ერთად გეგმავს და ქართველ ფოტოგრაფებს დიალოგში იწვევს. იგი საფრანგეთის ფოტოგრაფთა ასოციაციის ფუძემდებელია და გარდა იმისა, რომ გადაწყვეტილი აქვს ფრაგი ფოტოგრაფების გამოფენების საქართველოში ჩამოტანა, აინტერესებს გაცვლითი პროექტებიც ანუ ქართული ფოტოგრაფიის ფრანგი საზოგადოებისთვის ჩვენება.

როულინგის ვაკანსია

გუშინ ჯოან როულინგის ახალი ნაწარმოები გამოვიდა

ᲘᲐ ᲕᲔᲙᲣᲐ



ჯოან როულინგი

ოთხი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც წიგნის მაღაზიების თაროებზე ჯოან როულინგის უკანასკნელი ნაწარმოები გამოჩნდა (და ელვის უსწრაფესად გაქრა კიდეც). ეს ჰარი პოტერის ისტორიის უკანასკნელი წიგნი "ჰარი პოტერი და სიკვდილის საჩუქრები" გახლდათ, რომელმაც ჯადოქარი ბიჭუნასა და მისი მეგობრების მრავალწლიანი ეპოპეა დაასრულა. გავიდა ოთხი წელი და როულინგმა სულ სხვა ისტორია შემოგვთავაზა - ამჯერად ნაწარმოები დიდებისთვის, რომლის გადაფურცვლაც პატარებს კატეგორიულად ეკრძალებათ.

რომანი სახელწოდებით "შემთხვევითი ვაკანსია" მსოფლიო მკითხველმა გუშინ მიიღო. წიგნი რამდენიმე ფორმატით გამოვიდა: ჩვეულებრივი ნაბეჭდი, ელექტრონული ვერსია და აუდიო ჩანაწერი. აუდიოვერსია იყიდება როგორც კომპაქტდისკის, ისე ინტერნეტიდან გადმოსაწერი ფორმატის სახით, ამრიგად, ვიდრე როულინის ახალ ნაწარმოებს ჩვენი გამომცემლები თარგმნიან და გამოსცემენ, მანამდე შეგიძლიათ, მისი წაკითხვის ჟინი ინტერნეტვერსიის შეძენით დაიკმაყოფილოთ.

"შემთხვევითი ვაკანსიის" პრეზენტაცია გუშინ ლონდონში, დედოფალ ელისაბედის სახელობის დარბაზში შედგა. მწერალმა შეკრებილ საზოგადოებას თავად წაუკითხა რამდენიმე მონაკვეთი, უპასუხა მათ კითხვებს, ბოლოს კი, ტრადიციისამებრ, ავტოგრაფები დაარიგა. წიგნის პრეზენტაციის შემდეგ The Guardian-ისთვის მიცემულ ინტერვიუში კი მწერალმა გულწრფელად აღნიშნა: "ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება მოხდეს, ის გახლავთ, რომ მკითხველს წიგნი არ მოეწონება. ჩვენი საზოგადოება პირდაპირ დაგეშილია, ვინმე გააკრიტიკოს. სხვისი კრიტიკით თითქოს სიამოვნებასაც განვიცდით. სწორედ ამის გამო მაქვს შიში. ვფიქრობ, ჩემი ნაწარმოები არ იმსახურებს მკაცრ კრიტიკას, მაგრამ ამის გაკეთების სურვილმა, შესაძლოა, ხალხს ბევრი უარყოფითი ათქმევინოს. ამიტომ მკითხველს ვთხოვ, წაიკითხონ და თავად განსაჯონ".

როგორც ჩანს, როულინგი თავადაც ეჭვებშია და ამიტომაც სთხოვს მკითხველს, მისი ნაწარმოები კრიტიკოსებისგან დამოუკიდებლად მიიღოს. ასეთი განწყობა მოსალოდნელიც იყო, რაშიც "დამნაშავე" ისევ და ისევ ნახსენები ჰარი პოტერია. მსოფლიომ ჯოან როულინგი სწორედ ამ ლიტერატურული ფრენჩაიზით გაიცნო და აღიარა, ამრიგად, არა თუ კრიტიკოსებისთვის, როულინგის ყველაზე მგზნებარე მკითხველთათვისაც ძნელი იქნება მისი ახალი რომანის მიღება, მით უმეტეს, რომ "შემთხვევითი ვაკანსია" სულ სხვა ოპერიდანაა...

"ვაკანსიის" პირველი შეფასებები წიგნის გამოსვლამდე რამდენიმე კვირის წინ გამოჩნდა. კრიტიკოსთა აზრით, ეს გახლავთ სატირა უგულო და თვითკმაყოფილი საშუალო კლასის შესახებ, რაც პერიოდულად ჩარლზ დიკენსის ლიტერატურასაც მოგვაგონებს. ზოგი კრიტიკოსის აზრით, რომანი საკმაოდ საინტერესო და ჩამთრევია, სხვებისთვის კი ის მოსაწყენია. მოკლედ, კრიტიკოსები კალმებს იქნევენ და სიტყვებით ჯადოქრობენ, ჯოან ოულინგი კი ჯიუტად განაგრძობს მკითხველის შეფასების ლოდინს.

"შემთხვევითი ვაკანსიის" სიუჟეტი ლონდონის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე პატარა სოფელ პეგფორდში ვითარდება. პირველსავე გვერდებზე ქალაქის თავის უეცარი გარდაცვალების შესახებ ვიგებთ. მერიაში ვაკანსია ჩნდება, რასაც არჩევნების ჩატარების აუცილებლობა მოჰყვება. სწორედ აქედან იწყებს ამოტივტივებას ოდესღაც მშვიდი და მოსიყვარულე სოფლის მოსახლეობის ერთმანეთის მიმართ არსებული სიმპათიები თუ ანტიპათია, დაფარული შური, ბოღმა და სხვა მანკიერებები. პეგფორდი ნელ-ნელა პანიკაში ეხვევა, ყველა პარანოიითა და სიბრაზითაა სავსე, რასაც აუცილებლად უნდა მოჰყვეს შეუქცევადი ტრაგედია...

როულინგი ინტერვიუში ამბობს: "სნობიზმი ჩემთვის ფენომენური მოვლენაა. ის საზოგადოების დიდ ნაწილშია გავრცელებული, ამიტომ მასზე დაკვირვება საკმაოდ იოლია. საშუალო ფენა კი ძალიან მართობს. ამ კლასს საუკეთესოდ ვიცნობ, იქ ყველაზე ხშირად შეხვდებით უსაფუძვლო პრეტენზიულობას, რაც ამ კლასს ძალიან სასაცილოს ხდის. ამიტომაც ვაქციე ის ჩემი რომანის მთავარ გმირად."

პარალელურად კი, ვრცელდება ინფორმაცია ჰარი პოტერის თემასთან დაკავშირებითაც. რამდენიმე დღის წინ ჯოან როულინგმა დაადასტურა, რომ არ გამორიცხავს ფრენჩაიზის ორი წიგნის საავტორო ვერსიების გამოცემას: "ზუსტად ვიცი, რომ ჰარი პოტერის შესახებ შექმნილი ორი წიგნი დამუშავებას მოითხოვს, რადგან მათი შექმნისას გამომცელებმა ძალიან ცოტა დრო მომცეს. წლების შემდეგ, როდესაც ისინი თავიდან გადავიკითხე, მივხვდი, რომ სხვანაირად დაწერაც შემეძლო, ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ მათ ოდესმე მივუბრუნდე". მწერალს არ დაუკონკრეტებია, შვიდტომეულის რომელ წიგნებზე აქვს საუბარი, თუმცა ის კი დაადასტურა, რომ მისი მომავალი ნაწარმოები აუცილებლად მოზარდებისთვის იქნება განკუთვნილი.

„ციხის საქმეზე„ დაკავებული მოხელეები და წითელი ცირკულარით ძებნილი ოფიცერი

გლდანის სასჯელაღსრულების N8 დაწესებულებაში პატიმართა წამების ამსახველი ვიდეომასალის ავტორი, ამავე საპყრობილის ყოფილ ოფიცერ ვლადიმერ ბედუკაძეზე ინტერპოლმა წითელი ცირკულარით საერთაშორისო ძებნა გამოაცხადა.

ინტერპოლის ვებგვერდზე ბედუკაძის ფოტო და მისი პირადი მონაცემები დაიდო.

"ვლადიმერ ივანეს ძე ბედუკაძის მიმართ საქართველოს მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციული დეპარტამენტის წარმოებაშია სისხლის სამართლის საქმე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "ბ", "დ", "თ" და "ზ" ქვეპუნქტებით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილით (წამება ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის," - ნათქვამია ინტერპოლის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაში.

გლდანის საპყრობილეში პატიმართა წამების, არაადამიანური მოპყრობისა და სექსუალური ძალადობის ამსახველი ვიდეოკადრები 18 სექტემბერს გამოქვეყნდა, იმ დროისთვის ვლადიმერ ბედუკაძე საქართველოში აღარ იმყოფებოდა. იმავე დღეს ცნობილი გახდა, რომ ბედუკაძე ბრიუსელში იმყოფებოდა, საიდანაც ქართულმა ტელეკომპანიებმა მასთან სატელევიზიო ჩართვა განახორციელეს. ბედუკაძე ბრიუსელში მოინახულა და მასთან ინტერვიუ ჩაწერა "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ჟურნალისტმა.

რამდენიმე დღის წინ ქართველი სამართალდამცველების მიერ ძებნილმა ბედუკაძემ ბელგიის ხელისუფლებას პოლიტიკური დევნილის სტატუსი მოსთხოვა.

პატიმართა წამებისა და ძალადობის ფაქტებზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში მთავარმა პროკურატურამ დააკავა პატიმართა მიმართ არაადამიანურ მოპყრობასა, წამებასა და გაუპატიურებაში ბრალდებული 4 პირი. ქუთაისის მე-2 საპყრობილის დირექტორი ზურაბ რუხაია, ამავე საპყრობილის რეჟიმის უფროსი დავით ნარსია, საპყრობილის მორიგე ინსპექტორები ნიკოლოზ ვახტანგიშვილი და გიორგი გრძელიძე.

პროკურატურის ინფორმაციით, გამოძიების ამ ეტაპზე დაკავებულია 16 პირი, მათ შორის სასჯელაღსრულების თავმჯდომარის მოადგილე, ციხის ორი დირექტორი და სხვა მაღალი თანამდებობის პირები.

ხაინდრავა მოწმის სტატუსით მეორედ დაიკითხა

საფრანგეთის ეროვნული ჟანდარმერიის მიერ მოპოვებული მასალების საფუძველზე, სადაც ყოფილი სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა "ქურდულ სამყაროსთან" ურთიერთობასა და კავშირშია დადანაშაულებული, ვაკის პოლიციაში გუშინ მორიგი საგამოძიებო მოქმედება შედგა. ხაინდრავა მოწმის სტატუსით მეორედ დაიკითხა. ოთხსაათნახევრიანი დაკითხვის შემდეგ მან პოლიციის შენობა დატოვა.

პროკურატურის მტკიცებით, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი საფრანგეთში იმყოფებოდა

კანონიერ ქურდებთან შეხვედრაზე, რომლებსაც მხარდაჭერის სანაცვლოდ, გავლენის აღდგენას დაჰპირდა. პროკურატურის ინფორმაციითვე, "კანონიერი ქურდების" ოპოზიციის წარმომადგენელთან შეხვედრის მიზანს საქართველოში დესტაბილიზაციის გამოწვევა, "მხედრიონის" ტიპის ფორმირების შექმნა და "ქურდების" გავლენის აღდგენა წარმოადგენდა.

"ქურდულ სამყაროსთან კავშირი," - ასეთია მუხლი, რომლითაც, ფრანგულ მასალებზე დაყრდნობით, საქართველოში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

ხაინდრავა მოწმის სტატუსით მეორედ დაიკითხა "ქურდულ სამყაროსთან" კავშირში დადანაშაულებული ყოფილი სახელმწიფო მინისტრი მომხდარს პოლიტიკურ ტერორად აფასებს და აცხადებს, რომ ყველა კითხვა ამოწურულია, მისი მხრიდან ყველა შეკითხვას პასუხი გაცემული აქვს დაკითხვაც დასრულებულია.

"მე მაქვს დასაბუთებული ეჭვი, რომ პროკურატურის გამოქვეყნებული საბუთები გაყალბებულია. ვაცხადებ პროტესტს - აღვძრავ სისხლის სამართლის საქმეს საქართველოს პრეზიდენტის, პროკურორს, შს მინისტრისა და იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ, ვინაიდან, ჩემს წინააღმდეგ საქმე არის პოლიტიკური დევნა. ეს არის სააკაშვილის რეჟიმის წინასაარჩევნო თაღლითობა და ამის საფუძვლად გამოყენებულია ფრანგული ჟანდარმერიის ვიდეო," - განაცხადა გოგა ხაინდრავამ. მისივე თქმით, ის ამჟამად საფრანგეთის მხარისგან ელოდება ოფიციალურ დოკუმენტაციებს.

როგორც დაკითხვის შემდეგ გოგა ხაინდრავამ განმარტა, საგამოძიებო მოქმედებამ კორექტულად ჩაიარა.

"ის ადამიანები, ვინც დამკითხა, არაფერ შუაში არიან. ისინი ასრულებენ დაკვეთებს, რომელსაც კრიმინალური პოლიციისგან იღებენ. ჩემი მოთხოვნები უკვე გავაცნი ფრანგულ მხარეს და იმედი მაქვს, რომ დარჩენილ უმარავ შეკითხვაზე ფრანგული ჟანდარმერია და ოფიციალური უწყებები მიპასუხებენ. მე მოვითხოვე საფრანგეთმა მოახდინოს სათანადო რეაგირება, მოვითხოვე საფრანგეთის მთავრობასთან შეხვედრა, პატივისა და ღირსების დაცვას ფრანგულ სასამართლოში ვაპირებ," - განაცხადა ყოფილმა სახელწმიფო მინისტრმა.

გოგა ხაინდრავას ინტერესების დამცველის, კობა კობახიძის განმარტებით, იმ მტკიცებულებების საფუძველზე, რომელიც გამოძიებას გააჩნია, გოგა ხაინდრავას ბრალდებულად გამოცხადება შეუძლებელია. ადვოკატის თქმითვე, მისი დაცვის ქვეშ მყოფს დაკითხვაზე მხოლოდ "ქურდულ სამყაროსთან" კავშირის შესახებ უსვამდნენ შეკითხვებს, თუმცა, ვერანაირი მტკიცებულება ვერ მოიპოვეს და მოწმის დაკითხვა დასრულებულია.

"ხაინდრავას მიმართ გამოძიება პროცედურულად ვეღარ გაგრძელდება. კითხვები დასმული იყო "ქურდულ სამყაროსთან" კავშირის შესახებ, თუმცა მანამდე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ გოგა ხაინდრავა "კრიმინალურ ავტორიტეტებთან" დესტაბილიზაციას გეგმავდა და ფულის გათეთრების მცდელობა ჰქონდა, თუმცა, ამ კუთხით არც ერთი კითხვა დასმულა," - აცხადებს ადვოკატი.

მსჯავრდებულის შეტყობინება მთავარ პროკურატურაში

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" მთავარ პროკურატურას მსჯავრდებულ ოლეგ რამიშვილის განცხადებას უგზავნის და გამოძიების დაწყებას მოითხოვს. როგორც ორგანიზაციის წევრები განმარტავენ, ოლეგ რამიშვილმა საია-ს თავმჯდომარეს 2012 წლის 26 სექტემბერს განცხადებით მიმართა, სადაც ის გასული წლის სექტემბრის თვეში N 8 დაწესებულებაში გარდაცვლილი პატიმრის, სერგო თეთრაძის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით საუბრობს.

მას შემდეგ, რაც ძალადობისა და წამებისთვის, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სხვადასხვა დაწესებულების თანამშრომლები დაიკავეს, ციხის კარი ჟურნელისტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გაიღო და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ დახმარების საკითხთა ახალმა მინისტრმა გიორგი ტუღუშმა პირობა დადო რომ, ძალადობისა და წამების ყველა ფაქტი გამოძიებული იქნება. მაშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ერთ-ერთი მსჯავრდებული მოითხოვდა დაკითხვას, რადგანაც, გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ჰქონდა პატიმარ სერგო თეთრაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

"მსჯავრდებულ ოლეგ რამიშვილის მიერ განცხადებაში მითითებული ფაქტები მოიცავს ინფორმაციას დანაშაულის ნიშნების შესახებ, რომელიც გამოძიების დაწყების საფუძველია," - განმარტავენ "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში". ორგანიზაციის წევრები მოითხოვენ, მთავარმა პროკურატურამ უზრუნველყოს განცხადებაში მითითებული ფაქტის დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ობიექტური გამოძიება.

განცხადებაში, მსჯავრდებული ოლეგ რამიშვილი ეჭვქვეშ აყენებს სერგო თეთრაძის გარდაცვალების ოფიციალურ ვერსიას, რომლის თანახმადაც, იგი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გულის შეტევით გარდაიცვალა. საიას ინფორმაციითვე, მსჯავრდებული განცხადებაში თეთრაძის გარდაცვალების სხვა მიზეზებს ასახელებს.

საიამ მსჯავრდებულ რამიშვილის განცხადების ასლი გაავრცელა, რომელშიც რამიშვილი თეთრაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებულ დეტალებს ყვება. რამიშვილი ამბობს, რომ თეთრაძის გარდაცვალებამდე ის ციხის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობდა. რამიშვილის ინფორმაციით, გასული წლის სექტემბრის შუა რიცხვებში, საღამოს საათებში, ის საკნიდან გამოიყვანეს და საშხაპეში შეხვდა საპყრობილის დირექტორ ალექსანდრე მუხაძეს მეტსახელად "ქილერას".

"მან მითხრა, რომ დაპატიმრებული იყო სამშობლოს ღალატში ეჭვმიტანილი სერგო თეთრაძე და მისგან უნდა გამეგო, თუ რა ინფორმაციებს აწვდიდა იგი უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებს, დამედგინა მისი კავშირები უცხოეთში და ყველა სხვა დეტალი, რაც საინტერესო იქნებოდა გამოძიებისათვის. მე ვკითხე, თუ ვისგან მოდიოდა დავალება და ვინ იყო თეთრაძით დაინტერესებული, მუხაძემ მითხრა, რომ დავალება მიღებული ჰქონდა პირადად ბაჩო ახალაიასგან. მან განმიმარტა, რომ სერგო თეთრაძე ჰყავდა საკარანტინო საკანში, იგი ჩავიდოდა, კარგად დაამუშავებდა, ანუ ცემდა და დამუშავების შემდეგ მე შემომიყვანდა საკანში მაქსიმუმ ერთ საათში," - ნათქვამია პატიმრის წერილში.

რამიშვილი განცხადებაში ასევე წერს, რომ საკანში დაბრუნების შემდეგ, ის გისოსებიდან იყურებოდა და დაინახა, როგორ გავიდა კორპუსიდან მუხაძე, სადაც მას უცდიდა რეჟიმის განყოფილების უფროსი ოლეგ ფაცაცია.

"ჩემი ფანჯრიდან კარგად ჩანდა საკარანტინო საკნები, საიდანაც იმ საღამოს პატიმრები უკვე დაშლილი, ანუ განაწილებული იყვნენ. საკარანტინო საკნებში, მხოლოდ ერთი ადამიანი იყო, ანუ სერგო თეთრაძე. მე დავინახე როგორ შევიდნენ მასთან ოლეგ ფაცაცია და ალეკო მუხაძე, ფაცაციას ხელში ხელკეტი ეჭირა, საკანში შესვლისთანავე, მე გავიგონე გინება, რასაც მოყვა თეთრაძეზე ფიზიკური ზემოქმედება, ოლეგ ფაცაცია გამეტებით ურტყამდა ხელკეტს, ხოლო ალეკო მუხაძე მუშტებს, როცა თეთრაძე დაეცემოდა - წიხლებს. ეს გრძელდებოდა 15-20 წუთი, ბოლოს ალეკო მუხაძე დაიხარა, თეთრაძე წამოაყენა და მარჯვენა ხელით მუშტი დაარტყა მკერდის არეში, მე გავიგონე განწირული კივილი. კივილი გრძელდებოდა 3-5 წამი და შეწყდა. თეთრაძე მუხლებზე დაეცა. შემდეგ დავინახე საკარანტინო საკნიდან როგორ გაათრიეს თეთრაძე, ექიმმა და მასთან მყოფმა ვიღაც პიროვნებამ დააწვინეს საკაცეზე და რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს," - აცხადებს მსჯავრდებული ოლეგ რამიშვილი.

მისივე განმარტებით, მეორე დილას მას მუხაძე შეხვდა, რომელსაც ჰკითხა, რატომ არ შეიყვანეს მის საკანში ღამით თეთრაძე. მუხაძისგან კი მიიღო პასუხი, რომ თეთრაძეს გული გაუხდა ცუდად და საავადმყოფოშიო გადაიყვანა, სადაც გარდაიცვალა.

"მე მივხვდი, რომ მოკლეს," - ნათქვამია მსჯავრდებულ რამიშვილის წერილში.

ოლეგ რამიშვილი სამართლებრივ რეაგირებას და უსაფრთხოების უზრუნველყოფას ითხოვს. ის აცხადებს, რომ სამი დღის წინ, მასთან პროკურორი, ვინმე ჯაბა შევიდა და თეთრაძის საქმესთან დაკავშირებით გაესაუბრა.

HUMAN RIGHTS WATCH-ის რეკომენდაცია

პოლიტიკური აქტივისტებისა და მომიტინგეთა მიმართ ადმინისტრაციული დაკავების წესის ბოროტად გამოყენებით საქართველო არღვევს საერთაშორისო ვალდებულებას, აღკვეთოს თვითნებური დაკავების შემთხვევები, - ნათქვამია Human Rights Watch-ის ანგარიშში.

"მთავრობამ უნდა მიიღოს მიიღოს ზომები თითოეული დაკავებულის საპროცესო უფლებების დასაცავად და უზრუნველყოს, რომ თითოეული საქმე, მიუხედავად მისი კრიმინალური თუ ადმინისტრაციული ხასიათისა, გარჩეულ იყოს კანონიერი სასამართლო პროცესის პირობებში. თითოეულ დაკავებულს უფლება აქვს მოითხოვოს საკუთარი საქმის გარჩევა და საკუთარი უფლებების პატივისცემა დაკავების პერიოდში," - აცხადებს Human Rights Watch.

ანგარიშის მიხედვით, წვრილმანი დანაშაული არ კვალიფიცირდება ნასამართლეობად, მაგრამ მასზე დაწესებული სასჯელი ითვალისწინებს სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

"საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის (წვრილმანი დანაშაულისათვის) დაკავებულს შეიძლება შეეფერდოს 90 დღით პატიმრობა, მაგრამ კოდექსი არ იძლევა ადეკვატურ ინსტრუქციებს დაკავებულთა საპროცესო უფლებების შესახებ, რაც ხშირად იწვევს თვითნებური დაკავების ფაქტებს. კოდექსი არ ავალდებულებს პოლიციას, მოახდინოს დაკავებულთა ინფორმირება მათი უფლებების შესახებ, - ნათქვამია ორგანიზაციის ანგარიშში, სადაც ასევე, წერია, რომ ბოლო დღეებში დაკავებულთა ადვოკატებმა ორგანიზაციის ექსპერტებს განუცხადეს, რომ მათი კლიენტების სასამართლო პროცესები ჩატარდა ზერელედ და მოსამართლეებმა დაცვის მხარეს არ მისცეს მოწმეთა გამოძახებისა და მტკიცებულებების წარმდგენის უფლება.

"პროცესი არ უნდა წარმოადგენდეს უქმად გატარებულ დროს ოქმზე ბეჭდის დარტყმამდე, შესაბამისმა ორგანოებმა სწრაფად და ეფექტურად უნდა გამოიძიონ წინასწარი დაკავებისას პატიმართა მიმართ ჩადენილი არასწორი მოპყრობის ნებისმიერი ფაქტები და განცხადებები ასეთი ფაქტების შესახებ. პოლიციას აქვს პასუხისმგებლობა, უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგი და დააპატიმროს ნებისმიერი პირი, ვინც ამ წესრიგის დარღვევას შეეცდება, მაგრამ უნდა არსებობდეს თვითნებური დაკავების თავიდან აცილების მექანიზმები. არსებული სამართლებრივი ჩარჩო და სასამართლო არ უზრუნველყოფს დაკავებულთა სათანადო დაცვას. შესაბამისად, აუცილებელია მთავრობამ დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად," - ნათქვამია ორგანიზაციის ანგარიშში.

შპს "პროფესიული ინოვაციების კოლეჯი" პროფესიულ სტუდენტთათვის აცხადებს მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

ბუღალტრის მესამე საფეხური - 35 ადგილი; ბუღალტრის მეოთხე საფეხური - 35 ადგილი; საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტი) მესამე საფეხური - 80 ადგილი; ტუროპერატორის მესამე საფეხური - 80 ადგილი; ტუროპერატორის მეოთხე საფეხური - 70 ადგილი; ინფორმაციული ტექნოლოგიის მესამე საფეხური - 50 ადგილი; ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხური - 70 ადგილი; ექთნის თანაშემწის მესამე საფეხური - 34 ადგილი; მასაჟისტი - 50 ადგილი.

აღსანიშნავია, რომ "პროფესიული ინოვაციების კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემურანდუმი სხვადასხვა უწყებებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ პროფესიული სტუდენტებისთვის საწარმოო პრაქტიკის ჩატარებას, ხოლო სწავლის დასრულების შემდეგ პარტნიორი დაწესებულებები ხელს შეუწყობენ კურსდამთავრებულთა დასაქმებას. ეს უწყებებია: შემოსავლების სამსახური, "ავერსი", "ტაოპრივატბანკი", აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა, ტურისტული სააგენტო შპს "ევრიკა", შპს "ჯი თი ექსპრესს სერვისი", ბუღალტრული ფირმა შპს "ბასტიონი" და კომპიუტერული ფირმა შპს "აი ტი აი".

დაინტერესებულმა პირებმა (ჩარიცხვის მსურველებმა) 15 ოქტომბრის ჩათვლით შპს "პროფესიული ინოვაციების კოლეჯში" უნდა წარადგინონ: განცხადება (კოლეჯში შესაბამის სპეციალობაზე მიღებასთან დაკავშირებით); პირადობის მოწმობის ასლი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში დაბადების მოწმობის ასლი და კანონიერი წარმომადგენლის (დედა, მამა, მეურვე) პირადობის მოწმობის ასლი); ორი ფოტოსურათი 3X4-ზე; სრული ზოგადი საბაზო ან საშუალო საფეხურის განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი; მომსახურების საფასურის 50 (ორმოცდაათი) ლარის შპს "პროესიული ინოვაციების კოლეჯის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი. დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: თბილისი ალ. ყაზბეგის გამზირი 47, ტელ: 790 11 96 96, 790 11 69 69; ვებ-გვერდი: www.pic.com.ge

დასაკარგი არაფერია

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის წილისყრის შემდეგ "აიაქსის" ახალი კაპიტანი სიმ დე იონგი და მისი თანაგუნდელები ძლივს იკავებდნენ ნერვულ სიცილს. ამსტერდამელები წილისყრამ გაწირა. "აიაქსთან" ჯგუფში "რეალი", "სიტი" და "დორტმუნდი" მოხვდნენ. მიუხედავად ამისა, "აიაქსის" ფეხბურთელები იმედს არ კარგავენ. სწორედ ამაზე ისაუბრა უეფას ოფიციალურ ვებგვერდთან "აიაქსის" კაპიტანმა სიმ დე იონგმა.

- როგორია "აიაქსის" კაპიტნობა?

- პირველ რიგში, ეს უდიდესი პატივი და პასუხისმგებლობაა. უკვე მეექვსე სეზონია "აიაქსში" ვარ და ამ ხნის განმავლობაში აქ მოსული და აქედან წასული არაერთი ფეხბურთელი მინახავს. წავიდა ვორტორგენი, წავიდა ტეო იანსენიც და, როგორც ჩანს, ჩემი კაპიტნობის დრო დადგა. არ გეგონოთ, რომ კაპიტნის სამკლაურის მიღების შემდეგ სხვა ადამიანი გავხდი. ისევე როგორც ადრე, ახლაც ვეცდები, გუნდს მაქსიმალური სარგებელი მოვუტანო.

- რა მიზნებს ისახავს "აიაქსი"?

- ვეცდებით, ჩემპიონთა ლიგაში რაც შეიძლება შორს წავიდეთ, თუმცა, თუ ჯგუფში მესამე ადგილს დავიკავებთ, ესეც კარგი იქნება.

- ჩემპიონთა ლიგას ფეხბურთელებს რაიმე განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს?

- შეცდომა შეიძლება ფატალური აღმოჩნდეს. ჩვენ ახალგაზრდა გუნდი გვყავს, რომელიც თავის ფეხბურთს აჩვენებს. თუ ბურთის ფლობაზე გავაკეთებთ აქცენტს, მეტოქეებს ჩვენთან თამაში გაუჭირდებათ.

- რომელ ნახევარმცველთან დაპირისპირებას ელით ყველაზე მეტად?

- "რეალთან" აქამდე ორჯერ ვითამაშეთ და ვერც ერთხელ ვერ დავამარცხეთ. კარგი იქნება, თუ ამჯერად შევძლებთ ამას. კარგი იქნებოდა, ისეთი ნახევარმცველის წინააღმდეგ თამაში, როგორიც ჩაბი ალონსოა.

- "რეალთან" გამართული წინა ორი მატჩიდან რა გაკვეთილები გამოიტანეთ?

- ფრთხილად უნდა ვიყოთ. არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ყველაფერი კარგად მიდის, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მართლა ყველაფერი კარგად იქნება, რადგან საკმარისია მოეშვა და ბურთი იმწამსვე შენს კარში აღმოჩნდება. ფრთხილად უნდა ვიყოთ, რადგან ნებისმიერი შეცდომა მარცხის ტოლფასი იქნება.

- "აიაქსს" მდიდარი ისტორია აქვს. ტიტულების მხრივ ამსტერდამული კლუბი ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში. ეს თქვენთვის დამატებითი მოტივაციაა თუ ზედმეტი ტვირთი?

- რა თქმა უნდა, ეს მოტივაციაა. ხალხი "აიაქსისგან" ბევრს ელის და ჩვენ ვალდებული ვართ ღირსეულად გავაგრძელოთ ამსტერდამული კლუბის ისტორია.

საფეხბურთო წყევლათა ტოპ ათეული

პელეს პროგნოზები ბევრისთვის ფატალური გამოდგა

სპორტში ცრურწმენებს რა გამოლევს. გამონაკლისი არც ფეხბურთია. ჩვენ არაერთხელ გვინახავს, არაერთხელ გვსმენია ამა თუ იმ არატრადიციული ხერხის შესახებ, რასაც ფეხბურთელები გამარჯვებისთვის იყენებენ. ამ მხრივ განსაკუთრებით აფრიკული გუნდები ყოჩაღობენ.

ამავე დროს არსებობს გარკვეული ცრურწმენები, რომელთა მიხედვით ესა თუ ის მოედანი, ფეხბურთელი თუ მთლიანად ტურნირი დაწყევლილად მოიხსენიება. დღეს სწორედ ეგრეთ წოდებულ "დაწყევლილ" მოვლენებზე გესაუბრებით და გაგაცნობთ მსგავსი მოვლენების ტოპ ათეულს.

San Zero

ზაფხულში "ინტერისა" და "მილანის" სტადიონის "სან სიროს" მწვანე საფარი ახლით შეიცალა. ლეგენდარული სტადიონის მესვეურებმა ძველი, შელახული გაზონი ახალი, ნახევრად სინთეტიკური მწვანე საფარით შეცვალეს. ამის მიზეზი პირველ რიგში ის იყო, რომ გასულ სეზონში "მილანისა" და "ბარსელონას" ჩემპიონთა ლიგის მატჩის შემდეგ კატალონიელებმა განაცხადეს, "სან სიროს" მინდვრის საფარი კატასტროფულ მდგომარეობაშიაო. ბალახი შეიცვალა, მილანურ გრანდებს კი თავის ტკივილი მოემატათ. "სან სიროს" ახალ გაზონზე ორმა მილანურმა კლუბმა 9 მატჩი გამართა და ვერც ერთი ვერ მოიგო.

ჩემპიონთალიგური წყევლა

20 წელია, რაც ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი ჩემპიონთა ლიგად გადააკეთეს და ამ ხნის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ ერთ გუნდს ჩემპიონთა ლიგა ზედიზედ ორჯერ მოეგოს. არადა, ჩემპიონთა თასს ერთმანეთის მიყოლებით კლუბები რეგულარულად იგებდნენ. "რეალმა" ძველი ტურნირი ზედიზედ ხუთჯერაც კი მოიგო. "აიაქსს" და მიუნხენის "ბაიერნს" ჩემპონთა თასი ზედიზედ სამჯერ აქვთ მოგებული. "მილანს", "მანჩესტერს" და "იუვენტუსს" კი - ორ-ორჯერ. ყველაზე ახლო ჩემპიონთა ლიგის ზედიზედ მეორედ მოგებასთან "ბარსელონა" იყო, მაგრამ კატალონიური კლუბი ორჯერვე ნახევარფინალში დაემშვიდობა ტურნირს.

როგორ დაწყევლა ბელა გუტმანმა "ბენფიკა"

ბელა გუტმანის წყევლა უკვე 50 წლისაა, თუმცა, ზუსტად არავინიცის, რა თქვა გენიალურმა უნგრელმა მწვრთნელმა. კლასიკურ, ყველაზე პოპულარულ ვერსიად კი ითვლება ეს გამონათქვამი: "აქედან მოყოლებული, კიდევ ასი წლის განმავლობაში, "ბენფიკა" ევროპულ თასს ვერ მოიგებს". ეს სიტყვები გუტმანს 1962 წელს წარმოუთქვამს. მას შემდეგ "არწივები" ხუთჯერ გავიდნენ ევროპული თასის ფინალში და ხუთჯერვე დამარცხდნენ (ორჯერ "მილანთან", თითოჯერ - "ინტერთან", "მანჩესტერთან" და პსვ-სთან).

რგორც ჩანს, ბელა გუტმანის წყევლა კიდევ დიდხანს გაჰყვება "ბენფიკას".

პროფესიონალიზმის მავნე მხარე

1984 წელს ყველაზე ძლიერ კოლუმბიურ კლუბად მიჩნეული "ამერიკა დე კალი" მოყვარულების სტატუსიდან პროფესიონალებში გადავიდა. კლუბის ხელმძღვანელები დიდხანს ბჭობდნენ, ღირდა თუ არა ამის გაკეთება და საბოლოოდ ყველა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ფეხბურთი პროფესიონალების საქმეა. მხოლოდ ბენჟამინ ურეა იყო წინააღმდეგი. კოლუმბიელმა დანტისტმა საჯაროდ დაწყევლა კლუბი და განაცხადა, რომ პროფესიონალად გახდომის შემდეგ "ამერიკა დე კალი" ტიტულს ვეღარ მოიგებდა. რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, კბილის ექიმის წყევლა ჯერ-ჯერობით მართლდება. "ამერიკა დე კალის" პროფესიული კლუბის რანგში ღირებული არაფერი მოუგია.

ბესეტის წინასაშობაო ბლიუზი

დეივ "ჰარი" ბესეტს სამწვრთნელო კარიერის მანძილზე არაერთი გიჟური იდეა მოსვლია. მათ შორის ყველაზე შთამბეჭდავი - გასული საუკუნის 90-იან წლებში "შეფილდს იუნაიტედის" მწვრთნელის რანგში.

1990 წელს მან მოკრძალებული ბრიტანული გუნდი ინგლისის უმაღლეს დივიზიონში გაიყვანა. პირველი სეზონი ელიტურ დივიზიონში საშინლად დაიწყო. 22 დეკემბრისთვის "შეფილდს" თამაშიც არ ჰქონდა მოგებული. თუმცა, ბესეტის უცნაური რიტუალის წყალობით გუნდმა ჩემპიონატი მე-13 ადგილზე დაასრულა.

"მანჩესტერის" წინააღმდეგ გასამართი მატჩის წინ (თამაში საშობაოდ იყო დაგეგმილი) ბესეტმა ფეხბურთელებს მთელი სპექტაკლი დაადგმევინა, რომელშიც თავად სანტა კლაუსის როლს ასრულებდა. მეთოდმა გაამართლა და "შეფილდმა" თვით მანკუნიანელები დაამარცხა.

პელეს წინასწარმეტყველება

საფეხბურთო კარიერის დროს შესაძლოა პელე უშეცდომო იყო, მინდორზე ის იდეალურად თამაშობდა, კარიერის დასრულების შემდეგ კი... რა გითხრათ. ფეხბურთის მეფის პროგნოზები ნამდვილ წყევლად იქცა. საკმარისია პელემ ვინმეზე თქვას, რომ ეს გუნდი ამა თუ იმ ტურნირს მოიგებსო და ამ გუნდს მარცხი გარანტირებული აქვს. 1994 წელს მან მსოფლიოს ჩემპიონობა კოლუმბიას უწინასწარმეტყველა. როგორ დასრულდა კოლუმბიელთათვის აშშ-ის მუნდიალი, კარგად არის ცნობილი. თავის დროზე პელემ განაცხადა, რომ ნიკ ბარმბი მომავალი პელეა. არადა, იმავე პერიოდში თამაშობდნენ ზიდანი და რონალდო. საეჭვოა, დღეს ბევრმა გაიხსენოს, ვინ არის ნიკ ბარმბი.

რიოიჩი მაედას წყევლა

რიოიჩი მაედა იაპონურ ფეხბურთში ნამდვილ შავ კატად იქცა. ყველა გუნდი, რომელსაც მაედამ სეზონის პირველ მატჩში გოლი გაუტანა, იაპონური საფეხბურთო ლიგის უმაღლეს დივიზიონს დაემშვიდობა.

ჯერჯერობით წყევლა გრძელდება. მიმდინარე სეზონში მაედამ პირველ მატჩში "ოსაკას" გაუტანა და ეს გუნდი წარმატებებით ვერ დაიკვეხნის.

ბოშებმა გაწირეს

1906 წელს "ბირმინგემ სიტის" ასწლიანი წყევლა გაუგზავნეს ბოშებმა. საქმე ის არის, რომ კლუბმა სწორედ იქ აიშენა სტადიონი, სადაც ბოშათა ბანაკი იდგა. მოქმედებდა თუ არა ეს წყევლა ასი წლის მანძილზე, ძნელი სათქმელია, მაგრამ "ბირმინგემი" რომ ვარსკვლავებს არ წყვეტს, ფაქტია. ასეთივე პრობლემები ჰქონდა "დერბისაც".

არუბინას ბაყაყი

1937 წელს, როდესაც "ვასკო და გამა" "ანდარაის" დაუპირისპირდა, ზოგიერთს საოცრების სჯეროდა, მაგრამ სასწაული არ მოხდა. "ვასკომ" მეტოქე ანგარიშით 12:0 დაამარცხა.

არუბინა ანდერეა თავისი გუნდის საცოდაობას სათადარიგო სკამიდან ადევნებდა თვალს. როდესაც ანგარიში 12:0 გახდა, არუბინა მუხლებზე დაემხო და რაღაც რიტუალი ჩაატარა. კერძოდ, არუბინამ ღმერთს სთხოვა, რომ "ვასკოს" 12 წლის განმავლობაში არ ღირსებოდა ჩემპიონობა. ამისთვის არუბინამ სტადიონზე ბაყაყიც კი მოკლა. ამ თამაშიდან 11 წლისა და 11 თვის განმავლობაში "ვასკო" ჩემპიონი ვერ ხდებოდა.

ფეხშიშველი გმირები

გასული საუკუნის დასაწყისში ინდოეთში მთავარ საფეხბურთო კლუბად "მოუჰ ბეგანი" ითვლებოდა. 1911 წელს ეს გუნდი მსოფლიომაც გაიცნო. 11-მა ფეხშიშველმა ინდოელმა ფეხბურთელმა ანგარიშით 2:1 დასავლეთ იორკშირის სამხედრო ნაწილის ნაკრები დაამარცხა. ინდოელები ამ გამარჯვებას თავისუფლებისთვის ბრძოლას უკავშირებდნენ. როდესაც მატჩის დასრულების შემდეგ ერთ-ერთმა ინდოელმა იკითხა, ნეტა როდის დაეშვება ინდოეთში ბრიტანეთის დროშაო, ბრიტანელის პასუხი ასეთი იყო: როცა "ბეგენი" კიდევ ერთხელ მოიგებსო. მას შემდეგ ინდოეთი კიდევ დიდხანს რჩებოდა ინგლისის კოლონიად.

ახალი არმია

პირველი გვერდიდან

"არმიაში" და საქართველოს ჩემპიონატში დაბრუნდა ვლადიმერ ბოისა. დამოუკიდებელი ქართული კალათბურთის ვარსკვლავი სვლაზეა.

გუნდის ბაზაზე, ვარჯიშის დროს სრული რუსტერი იყო. ორი გამთამაშებელი. ძირითადი (ალბათ), ლაშა გამყრელიძე და მეორე ფლეიმეიქერი, ბექა წივწივაძე. ლაშა სულ ფორმაშია, ენერგიას იდუნდა იყოს და თავის წუთებს მიიღებს წივწივაძეც. ამ ორის დროს ტულუში გადაანაწილებს და პირველ ნომრებში (სუპერლიგაში) ყველაფერი მშვენივრად არის.

მეორე-მესამეზე დგებიან ანატოლი ბოისა, დათო საყვარელიძე და ლაშა ფარღალავა. კარგი მიქსტი. მიქსტი სიმაღლეში, ათლეტურობაში, გამოცდილებაში და უნივერსალიზმში. ბოისამ წინა რეგულარულის ბოლო ფაზა და ფლეი ოფი სერიოზულად ჩაატარა, საყვარელიძე სულ თავის დონეზეა და ფარღალავას როლი ახალ გუნდში შეიცვლება. "სოხუმში" ლაშა შუთერი, პირველი ნომერი, მომხსნელი (ფაცაციასთან ერთად), თითქმის ყველაფერი იყო და "არმიაში" ნაკლებ დროში მაინც ბევრი უნდა მოასწროს. ეს თემაც გავიარეთ. წავედით ფორვარდებზე.

"არმიაში" კაპიტანი ზვიად ბაბიაშვილია. ბაბუ ძველი ფორვარდია. ცოტა ასაკშია და ცოტა ახალგაზრდებს კარგი რაღაცეები უნდა უთხრას, რაღაც მომენტში იმწვრთნელოს და კოტეს დაეხმარება. ბაბიაშვილი სუპერლიგაში 15-20 წუთს გაქაჩავს. ევროჩელენჯზე სხვა ამბები წავა. იქ "არმიასთან" ერთად ჯგუფში "ჰაპოელი" (ისრაელი), ბელგიური "ანტვერპენი" და გერმანული "ტელეკომი" ზიან. თანაბარი, ნორმალური, კარგ ლეგიონერებთან ერთად გასავლელი ჯგუფია. ჩვენც ვიღაცეებს ჩამოვიყვანთ და ცვლილებები დანარჩენ გუნდებშიც იქნება.

ბაბიაშვილი მეოთხეზე იდგება და კოტეს უნდა, რომ ბოისამ მესამეზე ითამაშოს. ბოისა უპრობლემოდ მოაგვარებს პრობლემებს მესამეზეც და მეოთხეზეც, სერიოზულ ფორმაშია და უნდა შეუბეროს. ბოისა ცუდ ფორმაში არ მახსოვს. თუ თამაშობს, საქმეს ათიანზე აკეთებს. ვოვა ტულუშისთვის დიდი ბონუსია. რომელიც მთავარმა მწვრთნელმა უნდა გამოიყენოს. ვოვასთან კონტრაქტი ამ სეზონის ბოლომდეა გაფორმებული. ბოისა საქართველოს ნაკრების საკვალიფიკაციო ციკლის პროცესში იტალიაში იყო. "სიენაში" ემზადებოდა და ეს ჩანს. თან, მაგრად. რესპექტაბელური, ყველა ამბავში საჭირო პერსონაჟი. ბოისა დაბრუნდა და ეს უკვე სასიამოვნოა.

მაღლებიდან კიდევ სამი კაცი მიიღებს მწვრთნელის ნდობას და დროს. გიორგი შარაბიძე ცენტრობს და მოსახსნელი უნდა მოხსნას. აქვს ნორმალური საშუალო სროლა და კალათბურთის აზრზეა. შარაბიძე სუპერლიგაში სულ ორმაგ დუბლებს უნდა აკეთებდეს. სოლიდურ დროში ბიჭს სტატისტიკაც სოლიდური ექნება.

გიორგი ჯგერენაიაში მწვრთნელი ენერგიას, ბევრ მოხსნას და ალბათ, სხვა ნიუანსებსაც ხედავს. გიორგიმ ჯერ ითამაშოს და ცოტა მეტს მერე დავილაპარაკებთ.

დავით უგრეხელიძე კლასია. გამოცდილება და ინტელექტი. დათოს ჰქონდა ტრავმები. ხანგრძლივი ტრავმები და ეს პროცესი ნორმალურ, სავარჯიშო პროცესს ხელს უშლის. უგრეხელიძე ფორმაშია. ვარჯიშზე, ტულუშის ახალმა ასისტენტმა, დავით თორთლაძემ "რივოკებით" შესვლა და ბურთის ჩაგდება დაავალა ბიჭებს. 6-6 ზუსტი სროლით. მაღლებიდან ეს პროცესი ყველაზე სწრაფად უგრეხელიძემ დაამთავრა. თან, სამწამიანში არ შედიოდა, გარედან, მშვიდად აკეთებდა საქმეს. უგრეხელიძეში დიდი დოზით ინტელექტია.

ვლადიმერ ბოისა "არმიაში" ამ სეზონის ბოლომდე იქნება

კაპიტანი, ზვიად ბაბიაშვილი

ერთ-ერთი ლიდერი, ლაშა გამყრელიძე

მთავარი მწვრთნელი კოტე ტულუში სეზონს საინტერესო გუნდით იწყებს

წინა სეზონში ტულუშს ბუბა ბერიშვილი და ვაჟა მხეიძე ეხმარებოდნენ. თორთლაძესთან ერთად, ეს პერსონაჟები ამ სეზონშიც კოტეს ბრიგადაში არიან.

წამოვლენ და ჩამოვლენ ლეგიონერები. მიდის მოლაპარაკება მარკუს ფეისონთან. ვიცნობთ ბელგიის ნაკრებიდან, ვიცნობთ, როგორც კარგ მოთამაშეს და ფეისონი ტულუშის გეგმებშია. ნორმალური ვარიანტია.

იოაკიმ შელბომი შვედეთის ნაკრებში სულ იტვირთება. შარშან, "არმიაში" იტვირთებოდა და სტაბილური, სანდო, ელეგანტური ცენტრი იყო. ალბათ, ყველა ეს ინგრედიენტი შეინარჩუნა და თუ "არმიაში" დაბრუნდება, მშვენიერი იქნება. სუპერლიგაში მეტი კარგი პერსონა უნდა იყოს. შელბომის ვარიანტიც დასაზუსტებელია. იოაკიმთან ჯერ საუბრობენ. შელბომი ხსნის, აგდებს, კითხულობს, აქვს კარგი პასი, მშვიდი ტიპია. შელბომთან ერთად "არმია" სიღრმეს და სიმაღლეს იღებს. შვედი ერთი წლის შემდეგ სლოვენიაში, ევრობასკეტზე იქნება და მანამდე "არმიაშიც" თუ გაიქცევა, გაასწორებს.

მიდის მოლაპარაკება კერტის მილეჯთან. პირველი ნომერი, რომელიც დგება მეორეზე. მეორე ნომერი, რომელიც ფლეიმეიქერობს. იყო რიგაში, ვეფში. აქვს ორი ვარიანტი - "არმია" და "ვალენისა". ჯერ ესპანურ თემას გაივლის და თუ გამოვა, ჩვენთან ირბენს. საინტერესო ვარიანტია. იყო რუსეთში ("ენისეი"), სლოვენიაში ("ოლიმპია") და საფრანგეთში ("ტულონი").

უკვე "არმიაშია" ლამაინ უილსონი. ამერიკელი მესამე ნომერია და თუ საჭიროა, მძიმე ფორვარდის ამბებშიც გაერკვევა. უილსონი უკვე გადაწყვეტილი თემაა. ამერიკელი მოდის კარგი სამიანით. კარგი სამიანით დაირტყა ნიქი, Making It La-Rain.

"არმია" ევროჩელენჯს 7 ნოემბერს ისრაელში გახსნის და აქ ექვს დღეში, "ანტვერპენს" გატესტავს.

გუნდი შეკრებას ალბათ, 10 ოქტომბერს, სლოვენიაში დაიწყებს და არ ჩაჯდება დუდუ დადიანის მემორიალზე, რომელიც 11 ოქტომბერს დაიწყება.

ტულუშმა საინტერესო გუნდი მიიღო. ბოისასთან, გამყრელიძესთან, უგრეხელიძესთან, ლეგიონერებთან ერთად. უნდა წამოიღოს. მალე დაიწყება.

ძიუდომ არჩევნებამდე არჩევანი გააკეთა

გიგა გურასაშვილი

1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებმა გარკვეულწილად სპორტულ ცხოვრებაზეც იქონია გავლენა. 5 ოქტომბრისთვის დანიშნული საქართველოს ძიუდოს ფედერაციის საარჩევნო-საანგარიშო ყრილობა და საპრეზიდენტო არჩევნები, ძიუდოს აღმასკომის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით, დათქმულ დროს აღარ გაიმართება - გაურკვეველი ვადით გადაიდო.

ძიუდოში არჩევანს წლის ბოლომდე გააკეთებენ

გაურკვეველი რჩება ისიც, თუ როდის ჩატარდება საპრეზიდენტო არჩევნები. მანამდე კი აღმასკომმა ყრილობის გადავადების ოფიციალურ მიზეზად საორგანიზაციო საკითხების მოუგვარებლობა და პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატთა არარსებობა დაასახელა. თუმცა, უკვე დიდი ხანია ამბობენ, რომ პრეზიდენტის პოსტზე ცეზარ ჩოჩელს უყრიან კენჭს. რაც შეეხება საორგანიზაციო საკითხების მოუგვარებლობას, აქაც მოარულ ხმებს მოვიშველიებთ, რომლის მიხედვით, ყრილობის ჩაუტარებლობის რეალური მიზეზი ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური ფონია და ამას ინტერნეტ გაზეთ "მსოფლიო სპორტთან" ადასტურებს ძიუდოს ფედერაციის გენერალური მდივანი ვლადიმერ ნუცუბიძე: "ყრილობის გადადების მთავარი მიზეზი საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარებაა. საპრეზიდენტო არჩევნებს მას შემდეგ ჩავატარებთ, რაც პოლიტიკური ციებ-ცხელება ჩაწყნარდება. ერთს კი დანამდვილებით გეტყვით: ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები წლის ბოლომდე აუცილებლად გაიმართება. კონკრეტულ თარიღებს აღმასკომის წევრები დააზუსტებენ".

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ საპარლამენტო არჩევნების შედეგები მნიშვნელოვნად განაპირობებს სპორტულ ფედერაციათა მუშაობას. ძიუდოს მაგალითით თუ ვიმსჯელებთ და ისევ მოარულ ხმებს დავეყრდნობით, ძიუდოს ფედერაციის ხელმძღვანელ თანამდებობაზე ცეზარ ჩოჩელს ოპოზიციის მხრიდან (ვგულისხმობთ "ქართულ ოცნებას") საქართველოს ნაკრების ყოფილი მწვრთნელი შოთა ხაბარელი დაუპირისპირდება.

...ძიუდოს ფედერაციაში პრეზიდენტობის მსურველთაგან განაცხადების მიღების ვადა დღეს იწურება. გუშინდელი მონაცემებით, პრეზიდენტობის სურვილი ოფიციალურად არავის გამოუთქვამს.

ამ მითქმა-მოთქმაში ისიც ირკვევა, რომ პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატურის წამოყენებას აპირებდა არა შოთა ხაბარელი, არამედ მისი ვაჟი, მამუკა ხაბარელი, რომელსაც ასევე აქვს ფედერაციაში აღმასრულებელ დირექტორად მუშაობის გამოცდილება და უფრო ადრე თბილისის ფედერაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელიც იყო.

5 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ოფიციალურად უნდა გამოცხადებულიყო ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვინაობაც, მაგრამ ფედერაციაში მოვლენათა განვითარებას დაასწრეს და მწვრთნელი ნაადრევად დაასახელეს.

13 სექტემბერს, ბევრისთვის გასაკვირად, საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე დაინიშნა მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი ირაკლი ცირეკიძე, რომელიც ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა დავით ხახალეიშვილმა წარადგინა. ახალი მწვრთნელის თანაშემწეები იქნებიან ლაშა გუჯეჯიანი და გიორგი ვაზაგაშვილი.

ფედერაციის ხელმძღვანელობის განცხადების თანახმად, ირაკლი ცირეკიძეს ნაკრები ოთხი წლით ჩააბარეს. არადა, ძიუდოს ფედერაციის მიერ ანონსის სახით გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს ნაკრებს საწყის ეტაპზე, უფრო სწორად, გარდამავალ პერიოდში, დროებითი მწვრთნელი უნდა ჰყოლოდა. დაახლოებით ერთ თვეში კი ოფიციალურად უნდა გამოცხადებულიყო მთავარი მწვრთნელის ვინაობა, რადგან 5 ოქტომბერს ძიუდოს ფედარციაში საპრეზიდენტო არჩევნები იყო დანიშნული.

უცნობი
გრიგოლ
რობაქიძე

დაგვიკავშირდით:
თბილისი,
ილია ჭავჭავაძის გამზ. N5
ტელ: (+995 32) 2 25 05 22
(+995 32) 2 91 22 83
(+995 32) 2 47 55 54
artanuji@artanuji.ge
www.artanuji.ge

www.artanuji.ge

გამომცემლობა არტანუჯი

პირველად

გრიგოლ რობაქიძის უცნობი
მემოქმედებითი მემკვიდრეობა
ქართულ ენაზე